ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №56 (1686) 8-14 სექტემბერი, 1998წ. ● ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოჭრის ხელისუფლება იმ ტოტს, რომელზედაც თავადვეა შემოსკუპებული?...



მესამე გვერდი

## ღვთისმშობელი ლასტირის თავის წილხვედრ საქართველოს, ანუ თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს დაერქმევა ნასაქართველოევი

მესამე გვერდი

## საქართველოსთვის მთავარი პრობლემა ხელისუფალთა ანტიეროვნული კურსი და პოლიტიკაა...

მეორე გვერდი

## „მშრალი კანონი“ ენერგეტიკაში, ანუ „ბუღალტერია არ გინდოდეს, ფული გინდოდეს...“



მესამე გვერდი

## ინტერნეტი და საქართველოს საკითხები

მეშვიდე გვერდი

## ჰოლივუდის საიდუმლოებანი



მე-9 გვერდი

## დაუსჯელობის სინდრომი



მე-11 გვერდი

## ი. ჭავჭავაძის საზოგადოების, ეროვნულ-რადიკალური პარტიისა და საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური ბლოკის „ერთობა“ პოზიცია საქართველოსა და მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად პრობლემებზე

1. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება არის რუსეთის მიერ მართული მარიონეტული დიქტატურა, რომელსაც შეგნებულად მიჰყავს საქართველო დაქუცმაცებისკენ, ეკონომიკური ნგრევისკენ და მასში ქართველი მოსახლეობის შემცირებისკენ. მისი პოლიტიკა გაგრძელებაა იმ რუსულ-იმპერიული ინტერესების ტრადიციული სამსახურისა, რომლებითაც იმართება საქართველოს სახელისუფლებო პროცესები, მათ შორის დანაშაულებრივი გადატრიალება 1991-92 წლებში. ამ ხელისუფლების ნინაშე კაპიტულაცია, ანუ მის ანტისახელმწიფოებრივ კურსთან თანხმობა, დანაშაულია ქვეყნისა და ქართველი ხალხის მიმართ. ამ ხელისუფლების შეცვლა ერთგული და პასუხისმგებლობის შეგნების მქონე ხელისუფლებით საქართველოს გადარჩენის აუცილებელი პირობაა.

2. დაუშვებელია საქართველოს „ესენგეში“ ყოფნისა და საქართველოში რუსეთის შეიარაღებულ ძალთა დგომის გაგრძელება. რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე იმას ნიშნავს, რომ საქართველო ყოველ წამს შეიძლება ჩაბმული აღმოჩნდეს ადგილობრივი ან გლობალური მასშტაბის ომში და საავიაციო, სარაკეტო და სახმელეთო დარტყმების საგანი გახდეს. რუსეთის ჯარების დგომა საქართველოში, რაც 1921 წლის ოკუპაციის გაგრძელებაა, დაბრკოლებაა საქართველოს ყოველგვარი სამხედრო წარმატებისათვის თავისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში და მუდმივი შესაძლებლობაა რუსეთის მრავალრიცხოვანი სპეცსამსახურების მუშაობისა საქართველოში ახალ-ახალი ქაოსის მოსაწყობად, აგრეთვე საქართველოს წინააღმდეგ ეკოლოგიური და სხვა დივერსიების საწარმოებლად. ხოლო საქართველოს დარჩენა „ესენგეს“ შემადგენლობაში იმას ნიშნავს, რომ საქართველო ვერასოდეს გამოვა საწარმოო ძალთა განვითარების სრული უპერსპექტივობის იმ ზონიდან, რომელშიც დღეს იმყოფება რუსეთის ე. წ. „სტრატეგიულ სივრცეში“ ყოფნის წყალობით.

3. დაუშვებელია საქართველოში ხელისუფლებასთან შერწყმული და მისგანვე ორგანიზებული კრიმინალური მონოპოლიების ბატონობა, რომელნიც დაუსჯელად ძარცვავენ საქართველოს მოძრავსა და უძრავ ქონებას და სახელმწიფოს მილიარდობით დოლარ საგარეო ვალს. ადებენ. ეროვნული ძალების მოვალეობაა ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ალკვეთონ სახელმწიფოს ძარცვის ეს პროცესი საგარეო-სავაჭრო და სხვა სახის ფაქტობრივ მონოპოლიათა მოხსნით, საგარეო სესხთა და სახელმწიფოს ხარჯთა სრული გამჭვირვალეობის შემოღებით, გადასახადთა რაციონალიზაციით (ანუ მათი შემსუბუქებით და, სამაგიეროდ, საგადასახადო ბაზის გაფართოებით), საბაჟო პოლიტიკის რაციონალიზაციითა და მისი ქმედითობის გაზრდით, ტენდერებისა და პრივატიზაციის პროცესთა გამჭვირვალეობით და მათი რეალური დაქვემდებარებით მაქსიმალური ხელსაყრელობის პრინციპისადმი, მარტოოდენ ლოზუნგის სახით არსებული „თავისუფალი ეკონომიკის“ ნაცვლად რეალურად თავისუფალი, კრიმინალობისაგან გაწმენდილი ეკონომიკის დამკვიდრებით.

4. დაუშვებელია ყოველგვარი დათმობა ცხინვალელი და რუსეთის მიერ მართული სხვა ანტიქართული ძალებისადმი, მათ შორის — ცხინვალის ზონაში „სამხრეთ ოსეთად“ წოდებული ტერიტორიული ერთეულის შექმნა. დაუშვებელია ყოველგვარი კაპიტულაცია აფხაზეთში. აფხაზეთი ქართველი ერის ეთნიკური ტერიტორიაა, ხოლო იქ მიმდინარე კონფლიქტის „ინტერნაციონალური“ მხარე მხოლოდ ის არის, რომ ეს კონფლიქტი საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის გამოუცხადებელი ომია და არა ქართველების და აფსუების ომი.

5. რუსეთთან კეთილმეზობლური ერთიერთობის აგება აუცილებელია და შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ინტერესთა მყარ დაცვაზე, პირველ ყოვლისა — საქართველოს შეუვალ („ყრუ“) იურიდიულ თავდაცვაზე რუსული მხარის ყოველგვარი აგრესიული მცდელობისაგან საქართველოს ტერიტორიისა და დამოუკიდებლობის ხელყოფის მიმართულებით საქართველოს დღევანდელი სისუსტის მიუხედავად, დაუშვებელია თუნდაც ერთი ისეთი დოკუმენტის შექმნა, რომელიც ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, მის სუვერენიტეტს ან სხვა ინტერესებს ლახავს. აუცილებელია ოფიციალური ნოტებით რუსეთისადმი და საჩივრით გაეროს სახელზე რუსეთის ხელისუფლებისათვის ბრალად დადება, რომ იგი აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ გამოუცხადებელ ომს აფხაზეთსა და ცხინვალის ზონაში. მხოლოდ ამ პოლიტიკური ზეწოლით მოხდება რუსეთის შეიარაღებული აგრესიის ალკვეთა ან მისი მინიმუმზე დაყვანა და, ამგვარად, პოლიტიკური მეთოდით დაიზოგება ქართველ მებრძოლთა სისხლი. ასევე, მხოლოდ საქართველოს გაწმენდით რუსეთის სამხედრო ძალისაგან, რომელიც განშტოებული სადაზვერვო და დივერსიული აგენტურის „საფარია“, შეიქმნება ზურგი, რომელიც აუცილებელია

*გაგრძელება მე-2 გვ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ი. ჭავჭავაძის საზოგადოების, ეროვნულ-რადიკალური პარტიისა და საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური ბლოკის („ერთობა“) პოზიცია საქართველოსა და მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად პრობლემებზე

*პირველი გვერდიდან*

საქართველოს ხელისუფლების წარმატებული ბრძოლისათვის შეიარაღებული ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების წინაალმდეგ.

6. აუცილებელია მყარი სტრატეგიული ორიენტაცია დემოკრატიულ დასავლეთზე და ამავე დროს რეალისტური ტაქტიკური გათვლა ყველა ეკონომიკური და პოლიტიკური ნაბიჯისა საქართველოს საკუთარი ინტერესების თვალსაზრისით. კერძოდ, აუცილებელია ყველა ნაბიჯთ დაექვემდებარება საქართველოს კეთილდღეობის, თავდაცვისუნარიანობის და შინაგანი წესრიგის (სტაბილობის) მაქსიმალური წინწაწევისა და დაცვის პრინციპისადმი, პირველ ყოვლისა — საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სრული და შეუვალი იურისდიქციის აღდგენის პრინციპისადმი.

7. რუსეთის მიმართ დიპლომატიური ნორმების დაცვის ფარგლებში აუცილებელია მაქსიმალურად მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ალმოსავლეთი ჩრდილო კავკასიის ხალხებთან და დასავლეთი ჩრდილო კავკასიის იმ ხალხებთან, რომლებიც მასობრივად არ ჩაბმულან და დღეს არ არიან ჩაბმულნი აგრესიაში საქართველოს წინაალმდეგ. ხოლო დასავლეთი ჩრდილო კავკასიის იმ ხალხებთან, რომლებიც მასობრივად არიან ჩაბმულნი ამ აგრესიაში, აუცილებელია განმარტებითი მუშაობა მათთვის იმის ასახსნელად, რომ აფსუების პრეტენზიები ქართველი ერის მიმართ ყალბ საფუძველზეა აგებული და რომ მათ ამხედრებას საქართველოს წინაალმდეგ რუსეთი ეწევა.

8. დაუშვებელია საქართველოს ფედერალიზაცია ანუ ისტორიულ პროვინციებად დაყოფა, რადგან ეს ორი-სამი თაობის მანძილზე გამოიწვევს როგორც საქართველოს სახელმწიფოს, ისე ქართული ეროვნული თვითცნობიერების დაშლას. აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობა ანუ ადგილობრივი მართვის დამყარება დემოკრატიულ (არჩევით) და არა დანიშვნით საფუძველზე.

9. საქართველოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე საქართველოსთვის მიზანშეწონილია საპარლამენტო და არა საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა, ვინაიდან „საშუალო კლასის“ ჩამოუყალიბებლობის პირობებში ეს ფორმა სახელმწიფოს სამართლებრიობასა და დემოკრატიული განვითარების მეტ საშუალებას იძლევა.

ზემოჩამოთვლილი პრინციპების საფუძველზე ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, ეროვნულ-რადიკალური პარტია და გაერთიანებული რესპ. პარტია ვქმნით პოლიტიკურ ბლოკს.

## გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია მეორედ გაქურდეს

### ქურდმა თუ ქურდებმა პროვოკაციასაც მიმართეს

ძვირფასო მკითხველო, დაუკვირდით ალბათ, რომ წინა სამშაბათს გაზეთი „საქართველო“ დაგვიანებით გამოვიდა და საგაზეთო ჯიხურებსა და სტელაჟებზე მეორე დღეს, ოთხშაბათს გამოჩნდა. გაზეთის დაგვიანების მიზეზი არც რედაქცია ყოფილა, არც სტამბა, არამედ ჩვენი შეგნებული მტრისა თუ მტრების მიერ მოწყობილი პროვოკაცია თუ პროვოკაციული თავდასხმა რედაქციაზე, ანუ ის ამბავი, რომ ვილაც მამაძაღლმა და არაკაცმა მარიამობა ღამეს თუ მეორე დილით გაზეთ „საქართველოს“ კომპიუტერული ცენტრი გატეხა, გაქურდა და დაგვტოვა პირში ჩალაგამოვლებულები. სანახევროდ დარჩენილი ტექნიკითა და ნათხოვარი აპარატურით კომპიუტერული ცენტრის თანამშრომლებმა შეუძლებელი შეძლეს და გაზეთი მაინც არ ჩააგდეს, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ გაზეთი მაინც გამოვიდა.

უნდა გითხრათ, რომ ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ. ბ-ნი ნოდარ გრიგალაშვილის რედაქტორობის ჟამსაც მოხდა ასეთი ქურდობა და არაკაცებმა მაშინაც ხელს გააყოლეს ძვირადღირებული ტექნიკა. ქურდი თუ ქურდები მაშინ დაუსჯელნი დარჩნენ, რადგან მათ ვერ მიაგნეს. არა ვართ ჩვენ გამომძიებლები, არც მაძებრები, მაგრამ ჩვენი ჟურნალისტური ჭკუით თუ ვიფიქრებთ, ქურდობის მეორე შემთხვევაც იმავე პირის ან პირების მიერ უნდა იყოს ჩადენილი, ვისაც „ხახვივით“ შერჩა პირველი დანაშაული. ამ საქმეს პოლიცია იძიებს და ვფიქრობთ, გამოიძიებს კიდეც.



პროვოკაცია კი იმიტომ ვახსენეთ, რომ შენობის დარაჯის მტკიცებით, 29 აგვისტოს, დილის რვა საათზე მასთან დაურეკია ვილაც პიროვნებას და ასეთი რამ უთქვამს: გაზეთის რედაქტორის დავალებით ვრეკავო, დამავალა გაზეთების წაღება, გასაღებიც მომცაო და თუ შეიძლება, მოვიდეო. დარაჯსაც, მისივე თქმით, დასტური მიუცია. მასთან დამრეკავ პიროვნებასაც არ დაუგვიანია და თურმე 10 თუ 15 წუთში შენობასთან გაჩენილა თეთრი ჟიგულით, თან მძღოლიც ახლდაო, ამბობს დარაჯი. შესულა ეს სათვალეებიანი (დარაჯის თქმით, გამადიდებელ ლინზებიანი სათვალეები ეკეთა თურმე) ვაჟბატონი შენობაში, უჩვენებია მეორე სართულის გასაღები, ასულა და რაღაც ათიოდ წუთში უკანვე ჩამობრუნებულა ორი ჩანთით ხელში, რომელსაც თურმე ზევიდან გაზეთ „საქართველოს“ ნომრები ეფარა. ჩამჯდარა მანქანაში და მშვიდად წასულა.

დარაჯის მტკიცებით, ეს პიროვნება მისთვის უცხო ყოფილა, მაგრამ საინტერესოა, რატომ შეუშვა ეს კაცი დარაჯმა ასე მშვიდად შენობაში, თანაც დილის 8 საათზე, თანაც შაბათ დილით, როცა, წესით, მან კარგად უნდა იცოდეს, თუ ვის და რომელ დღეებში დააქვს რეგულარულად გაზეთი „საქართველო“ გამავრცელებელ ორგანიზაციებში და მით უმეტეს, რომ გაზეთი რედაქციიდან კი არ მიდის მკითხველამდე, არამედ პირდაპირ სტამბიდან. ყველა ამ ვერსიას, ალბათ, გამოძიება შეამოწმებს, მაგრამ ეს ქურდობა რომ პროვოკაციულია, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ გაზეთის რედაქტორის სახელიც გაურიეს მასში.

ჩვენ ველოდებით გამოძიების შედეგებს და ჯერ-ჯერობით თავს ვიკავებთ ამ ფაქტებისთვის რაიმე შესაფების მიცემისაგან, თუმცა არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ქურდობის პროვოკაციულ ხასიათს პოლიტიკური სარჩულიც ედოს.

*გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია*

## საქართველოსთვის მთავარი პრობლემა ხელისუფალთა ანტიეროვნული კურსი და პოლიტიკაა...

უსაზღვროა ჩემი — ერთი უპარტიო, რიგითი ქართველის ალშფოთება! და არა მარტო ჩემი!

ალარ დაედო საზღვარი ქართველი ერის შევიწროებას, დამცირებას!

მე ეკონომიური ძხარე არა მაქვს მხედველობაში — ამას მოვითმენთ! მე ვგულისხმობ იმ პოლიტიკურ, დიპლომატიურ და სამხედრო შერცხვენა-დამცირებებს, რომლებსაც ასე „მიგვაჩვიეს“ ჯერ ოსებმა, შემდეგ აფხაზებმა, ახლა კი სომხებმაც არ უღალატეს ჩვეულ ბუნებას და გვიგანეს — ჩვენი „დიდი ძმის“ — რუსეთის წაქეზებით და ჩვენს „დიდ პოლიტიკოსთა“ უადგილო დათმობებით გულმოცემულებმა.

23 აგვისტოს „რუსთავი-2“-ის სატელევიზიო არხით ნაჩვენები იქნა ახალქალაქის სომეხთა წარმომადგენლის გამოსვლა, სადაც მან ამ რეგიონში სომხური ავტონომია და სომხურ ენაზე საქმის წარმოება მოითხოვა(?!).

თავისთავად ეს მრავლისმეტყველი და ალმაფშოთებელი ფაქტია, რომელზედაც ხელისუფლებამ პასუხი უნდა გასცეს, ოღონდ არა ისეთი — აბსურდული პასუხი, ამასწინათ რომ „გასცეს“ სომეხთა შეიარაღებული ჯგუფის მიერ ახალქალაქიდან ქართული ჯარის სამარცხვინო გამოძევებას: დაბნეულმა პრეზიდენტმა და მისმა გარემოცვამ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს და... ძველი რიცხვით (6 აგვისტო) გამოსცეს „№ განკარგულება“, რომლითაც სცადეს გათავხედებულ „სტუმართა“ (რომლებიც უკვე მასპინძლობას ჩემულობენ) „დანამუსება“: აქაო და „ჩვენ თქვენზე ვზრუნავთ, თქვენ კი რას მოითხოვთ, როგორ არა გრცხვენიათო!“ ალბათ ფიქრობენ, რაკილა ასეთი ფანდებით და ცრუ დაპირებებით აგერ მერამდენე წელია ქართველებს კვებავენ, სომხებსაც გააჩერებენ, მაგრამ გაუჭირდათ, რადგან ჩვენ-ქართველებს სხვა გზა არა გვაქვს — უნდა ვენდოთ მათ დაპირებებს; სომხებს კი სხვა პატრონი და „სხვა გზა“, ეჭვი არაა, დიდი ხანია შეგულებული აქვთ, მხოლოდ დროს ელოდნენ და ფიქრობენ, ეს დრო უკვე დაუდგათ. ამ ე. წ. „განკარგულების“ სიყალბე კი აშკარაა თუნდაც იმიტომ, რომ ხელისუფალთ თავისი გალატაკებული ხალხისთვის ვერ მიუხედავს, ხელფასები, პენსიები ვერ დაურიგებია და ახალქალაქელ სომხებს მიხედავს? თუმცა ქართველი ერის ხარჯზე სხვა ეროვნულ უმცირესობათა „მოფერება“ ამ ხელისუფალთათვის პირველი არ იქნება! სწორედ მათდამი ასეთმა „ფერებამ“ და უადგილო დათმობებმა მიგვიყვანა აქამდის; ამ დათმობებმა გაათავხედეს და წაახალისეს სხვადასხვა ჯურის ხიზნები, რომლებიც ხიზნებად ალარ თვლიან თავს და... ჩვენი სამკვიდროდან გვაძევებენ (?!)



ასეთ გამოუვალ, დამამცირებელ მდგომარეობამდე, ერის გათიშულობამდე სწორედ ამ ხელისუფალთა მხრიდან ეროვნული ინტერესების სრულმა იგნორირებამ, მათმა ლაჩრულმა, უადგილო დათმობებმა და სხვა, არა აბორიგენი ერებისადმი „თავზე ხელის სმის“ პოლიტიკამ მიგვიყვანა. მაგრამ ყველაზე მეტად ალმაშფოთებელი ისაა, რომ ხელისუფლება შეცდომებიდან შესაფერ დასკვნებს არ აკეთებს და ძველებურად აგრძელებს დამღუპველი „დათმობების“ პოლიტიკას.

ასე იყო სამაჩაბლოში, აფხაზეთში: მათ ენაზე გაუხსნეს სკოლები, ინსტიტუტები, რადიო-ტელევიზია, ბეჭდვითი ორგანოები, გაზეთები, უსრულებდნენ ყოველგვარ კაპრიზებს. შედეგები სახეზეა!

იგივეს ითხოვენ ახალქალაქელი სომხები; თუ ობიექტურნი ვიქნებით, ოსებთან შედარებით მათ ამისი „უფრო მეტი უფლებაც კი აქვთ“. აი, ასე ულვიძებს მადას ერთისადმი გაუმართლებელი დათმობა მეორეს, მეორისადმი დათმობა-მესამეს და ა. შ. სულ არ ფიქრობს ხელისუფლება, რომ ასეთი დათმობებით გამოუსწორებელ ზიანს აყენებს საქართველოს ავტორიტეტს მეზობელ სახელმწიფოთა თვალში, უქმნიან მას სუსტი, დამყოლი ქვეყნის იმიჯს და მადას ულვიძებენ ათასი ჯურის (რომელთა ნაკლებობას, მათივე წყალობით, ნამდვილად არ განვიცდით!) სეპარატისტულ დაჯგუფებებს.

*გაგრძელება მე-6 გვ.*

## ახალი პოლიტიკური ლექსიკონი (ილია ბარამიძის რედაქციით)

**„ავრორა“** — სამხედრო ხომალდი, რომელმაც რუსეთის მზის დაბნელება ამცნო მსოფლიოს.

**ბალასტი** — სახელმწიფოსათვის ტვირთად ქცეული პოლიტიკოსები. ძლიერი შტორმის დროს გადაყრიან ხოლმე.

**განტევების ვაცი** — პოლიტიკოსი, რომელიც განტევების შემდეგ თხა აღმოჩნდება.

**დაშნაკცუტუნი** — სომეხთა პარტიაა, ლოს-ანჯელესიც რომ „დიდი სომხეთის“ ნაწილი ჰგონია.

**ეშერა** — ადგილია აფხაზეთში, რუსული იმპერიალიზმის მინისქვეშა ბუნაგი.

**ვიტამინი** — ბოროტი სტალინი რომ ბავშვებს ძალით სჩრიდა პირში და ახლანდელებს აკლიათ.

**ზურმუხტი** — რუსთათვის დასაპყრობად საოცნებო მიწის ფერი.

**თელასი** — ახლა ყველასია, პრივატიზაციის შემდეგ მელასი იქნება.

**ინტერნაციონალიზმი** — ქართველთათვის რუსთაველის, ვაჟასა და გალაკტიონის კითხვა რუსულად.

**კრედიტი** — უცხოური ვალი. გამოიყენება ქართველი კრეტინების დასაკრედიტებლად.

**„კრიშა“** — თაღლითთა, ხაზინის ქურდთა, გამომძალველთა მფარველი პირი ორგანოში, ზოგისთვის — ორგანო პირში.

**ლაოკოონი** — ქართველი კაცი, ვალები რომ აღრჩობენ შვილებთან ერთად.

**მაკარონი** — პროდუქტია ერთგვარი, ხელისუფლება მშიერ ხალხს რომ ყურებზე ჰკიდებს.

**ნოსტალგია** — ადრე — სამშობლოს ნატვრა. დღეს — უფასო მკურნალობაზე, ხელფასზე, პენსიაზე და ნატურალურ ძეხვზე იტყვიან.

**ომანიძე** — ლეიტენანტ შმიდტის ქართველი შვილი. ოსტაპ ბენდერის ძმა.

**პოლიტოლოგია** — (რუს. полётология) მავანთა გაფრენების შემსწავლელი მეცნიერება.

**ჟირაფი** — ქედმაღალი და შორსმხედველი პოლიტიკოსი.

**რეკლამა** — ქართული ენისათვის — კოლორადოს ხოჭო.

**საბჭოთა კავშირი** — ქართველ კომუნისტთა ფერადი სიზმარი

**ტერორი** — ხელისუფალთა მიერ მოქალაქეთა ან მოქალაქეთა მიერ ხელისუფალთა მართვის ერთ-ერთი ფორმა.

**უარყოფის უარყოფა** (ფილმ). — ადრე სხვათაგან ათასგზის უარყოფილს რომ უარყოფ და გაიძახი, პირველმა უარვყავიო.

**ფედერაცია** — იგივეა, რაც რუსეთის იმპერია. გორბაჩოვს ახალი შინაარსით უნდოდა, პანტელეიმონს უახლესით უნდა.

**ძაძანი** — ახალდანიშნულ მინისტრთა დაპირებებზე იტყვიან.

**ღორეშა** — სოფელი საქართველოში. იგივეა, რაც ისკარიოტი იუდეაში.

**ყარაული** — ღამის ქურდი, იარაღით ან უიარაღოდ.

**ძებნელი** — მძებნელის მუდმივი თანამესუფრე.

**ცერცვი** — კედლად აღმართულ ხელისუფალთათვის შესაყრელი. აყარე, რამდენიც გინდა.

**წმინდანი** — თანამდებობის პირი მოხსნამდე.

**ჭამბაზი** — არარაობიდან მინისტრობამდე ბეწვის ხიდზე გამსვლელი.

**ჩაწყობა** — აქა წარმატების უტყუარი გზა.

**ჭეშმარიტი** — ზემდგომი აზრი.

**ხუხულა** — ძლიერთა ამა ქვეყნისათა ურთიერთ სიყვარული და ერთგულება.

**შერლოკ ჰოლმსი** — ერთადერთი (ან გარდაცვლილი) პიროვნება, რომელიც გაარკვევდა დღევანდელ საქართველოში ვისი ხელი ვის ჯიბეშია და ა. შ.

**„ჰერმესი“** — სასწრაფო დახმარების სამსახური მათთვის, ვინც სიდუხჭირეს ვერ უძლებს. დამკრძალავ ბიუროსაც ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოჭრის ხელისუფლება იმ ტოტს, რომელზედაც თავადვეა შემოსკუპებული?...

ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები, ცალკეული პოლიტიკოსები ამ ბოლო ხანს საჯაროდ აცხადებენ, რომ სექტემბერ-ოქტომბერში საქართველოში დიდი არეულობაა მოსალოდნელიო. დესტაბილიზაციისაგან, ანუ არეულობისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ რადგან ძალოვანებიცა და მავანი პოლიტიკოსებიც ასე დაბეჯითებით გვარწმუნებენ მოსალოდნელ საშიშროებაზე, სხვა გზა არა გვაქვს, მათ უნდა დავუჯეროთ. დაჯერება ერთია, მაგრამ საინტერესოა სხვა რამ: ვინ რას გვიპირებს? რა ძალაა ის ძალა, რომელიც აგვრევს და დაგვრევს, როგორც უნდა, ისე აგვათამაშ-ჩაგვათამაშებს? ამის შესახებ ძალოვანებიც სდუმან და არც პოლიტიკოსები აკონკრეტებენ მაინცდამაინც ყველაფერს, მაგრამ გარკვეულ მინიშნებებს მაინც აკეთებენ ერთ ჩვენს მეზობელზე, ხალხში რომ ხშირად თეთრ დათვად მოიხსენიებენ.

თქვენ კარგად იცით, ხელისუფალნი დღემდე აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ თეთრ დათვს გვერდს უმშვენებსო, ფიგურალურად თუ ვიტყვით, შავი დათვი, ანუ ის ძალა, რომელიც უკიდურესად რეაქციულია და რომელიც ყველა ღონეს ხმარობს იმისთვის, რათა ქართული სახელმწიფოებრიობა დაასამაროს. ე. ი., რომ დავაკონკრეტოთ, რუსეთში, ხელისუფალთა მინიშნებით, არის ორი ძალა: ერთი დემოკრატიულია და მას რუსეთის პრეზიდენტი, ელცინი წარმოადგენს, მეორე კი რეაქციულია და მას ჟირინოვსკი და სხვები წარმოადგენენ (რა თქმა უნდა, ალბათ, რუსული არმიის გენერალიტეტის ერთი ჯგუფიც). ხელისუფალთა მტკიცებით, ელცინს და დემოკრატიულ რუსეთს საქართველოსთვის სიკეთე უნდათ, მაგრამ რეაქციონერი რუსები მას ამის საშუალებას არ აძლევენ, ანუ იკვეთება სრულიად ბანალური სურათი: რუსეთში, თურმე, მარჯვენა ხელმა არ იცის რას აკეთებს მარცხენა.



ჩვენი ხელისუფალნი კი ამბობენ ამას, მაგრამ დავიჯერებთ თუ არ დავიჯერებთ, ეს უკვე ჩვენი საქმეა და მე თუ მკითხავს კაცი, მთლად მასე არ უნდა იყოს საქმე, როგორც ხელისუფალნი გვეუბნებიან, ანუ რუსეთში, შესაძლოა არსებობდეს ორი ძალა, რომლებიც თვით რუსეთში ებრძვიან ერთმანეთს პირველობისთვის, მაგრამ საქმე როცა მათ ყოფილ კოლონიებზე, ანუ ამჯერად საქართველოზე თუ მიდგება, ისინი ხელიხელჩაკიდებულნი მოქმედებენ და მშვენივრად უწყიან, თუ რას აკეთებს ერთის მარჯვენა და მეორის მარცხენა. ბრიყვი უნდა იყო კაცი ან სრულიად უწიგნური, რომ ამას ვერ მიხვდე. ელემენტარულად, საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიისთვის ერთი თვალის გადავლებაც კმარა, რომ ამაში დარწმუნდე.

ეს, ასე ვთქვათ, რაც რუსეთს შეეხება, ანუ იმას, რომ მტერი თავის მტრულ საქმეს აკეთებს და ამ საქმეში მისი ინტერესები დევს. რას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება, რომ ეს არეულობები აიცილოს თავიდან? აი, კითხვა, რომელიც პოლიტიკოსსაც აწუხებს, პარლამენტარსაც და რიგით მოქალაქესაც. გვეჩვენება, რომ მხოლოდ განცხადებებით მოსალოდნელ დესტაბილიზაციას ვერაფერს უშველი. საჭიროა კონტრზომების მიღება, მაგრამ როგორ? აი, სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი, მაგრამ თუ მონდომებული ხელისუფლება გაირჯება, ამ ძაღლის თავს ამოთხრის და გამოამზეურებს კიდეც. კერძოდ:

პირველი, რაც ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს, ვფიქრობთ, ის უნდა იყოს, რომ მან მსოფლიოს გასაგონად დააფიქსიროს საქართველოს რეალური მტრის სახელი, ანუ ხმამაღლა თქვას ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მიერ მოწყობილ და სამომავლოდ ჩაფიქრებულ ხრიკებზე. მეორე რიგში კი, ჩვენი აზრით, საჭირო იქნება იმ ქართველთა თუ არაქართველთა სააშკარაოზე გამოყვანა, ვინც რეალურად წარმოადგენს რუსის დასაყრდენს საქართველოში და ასეთები, სავარაუდოდ, არც ისე ცოტანი იქნებიან. მესამე და მთავარი კი ის უნდა იყოს, რომ ხელისუფლებამ დაიწყოს ზრუნვა ნამდვილი არმიის (და არა ბუტაფორიულის) შექმნაზე, დარაზმოს ერი და ბერი და კატეგორიულად მოსთხოვოს რუსეთს სამხედრო ბაზების (მათ შორის სამშვიდობო ჯარების) გაყვანა ქვეყნის ტერიტორიიდან.

რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ სხვა პრობლემების მოგვარებაზეც უნდა იზრუნოს

გაგრძელება მე-4 გვ.

## გულაბერ კლარჯი

# ღვთისმშობელი დასტირის თავის წილხვედრ საქართველოს, ანუ თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს დაერქმევა ნასაქართველოევი

უძველესი ტრადიციის თანახმად, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ჩვენს წინაპრებს მიაჩნდათ, რომ ღვთისმშობელი და მისი მეოხებით იესო ქრისტე დაიფარავდნენ საქართველოს, ქართველ ერს ყოველგვარი უმძიმესი განსაცდელისაგან. ეს რწმენა ქართველ კაცს ძალას მატებდა ათასი ჯურის დამპყრობლებთან უთანასწორო ბრძოლაში, უნერგავდა ეროვნული სიამაყის გრძნობას, რომლის გარეშეც ერთი ქართველი ვერ შეძლებდა ათი და ოცი დამპყრობლის მოგერიებას, მის განდევნას ქართული მიწა-წყლიდან.

XII საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ქართველი მოღვაწე, დავით აღმაშენებლის თანამედროვე, არსენ ბერი მშობლიური ქვეყნის ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის თაობაზე იუწყება: „მოხედვა ყო ზეცით წყალობით ყოვლადსახიერმან დედოფალმან და მოიხსენა უფლისა მიერ და ძისა თვისისა წილხუდომილი იგი მისდა ქუეყანაი და ნათესავის (ერი — გ. კ.) ჩუენი, რამეთუ ნაწილ მისა ჩუენ ვართ, ნათესავნი ქართველთანი, და ნეტარ ვართ ჩუენ და სამ ნეტარ, რამეთუ ნაწილ მისა ვიწოდენით. და იგი არს შემდგომად ღმრთისა მხსნელი და განმათავისუფლებელი ჩუენი მწარისა მისგან მონებისა და სრულიადისა ტყუეობისა მთავრისა მის ბნელისა“. არსენი განაგრძობს: „გამოუჩნდა ყოვლად-წმიდაი იგი ღირსსა ნინოს და ჰრქუა: აჰა ესერა წარგავლინებ შენ ქადაგად... ნაწილსა ჩემსა ქუეყანასა ჩრდილოისასა, ერისა მიმართ ქართველთაისა“.

გამოჩენილი ქართველი სწავლული, მოღვაწე, გიორგი მთაწმინდელი ქართველთა დიდი წინაპრის, ექვთიმე მთაწმინდელის შესახებ გადმოგვცემს, რომ მცირეწლოვანი ექვთიმე მძევლად მოხვედრილა ბიზანტიის სამეფო კარზე. მამამისს, ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებელს, იოანე მთაწმინდელს გამოუხსნია შვილი ტყვეობიდან, მაგრამ მას იმ დროს ქართული ენა დავიწყებული ჰქონია. ერთხელ ექვთიმე მძიმედ გამხდარა ავად. მამისთვის მოულოდნელად ექვთიმე სიკვდილს გადარჩენილა, განკურნებულა. ამის თაობაზე ექვთიმეს უთქვამს მამისათვის: „წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქუა ქართულითა ენითა: „რაი არს, რაი გელმის, ეფთვიმე?“ ხოლო მე ვარქუ, ვითარმედ: „მოვკუდები, დედოფალო“. და ვითარცა ესე ვთქუ, მომეახლა და მიპყრა ხელსა და მრქუა: „არარაი არს ვნებაი შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი“. და აჰა ესერა, ვითარცა მხედავ, ყოვლადვე არღარაი მელმის“. ექვთიმეს ბიოგრაფი, გიორგი მთაწმინდელი დასძენს: „იტყოდა ნეტარი იოვანე, ვითარმედ: „მუნ ჟამადმდე ძნიად უბნობნ ქართულად და ფრიად მწუხარე ვიყავ ამის პირისათვის, ხოლო მიერითგან დაუყენებლად, ვითარცა წყაროი აღმოდინ უწმიდეს ყოველთა ქართველთასა. ხოლო მე, რაი ვიხილე ესე, დავვარდი წინაშე წმიდისა ღმრთისმშობელისა და მადლი შევწირე სასოისა მის ჩუენისა და ვჰმადლობდი და ვადიდებდი ღმერთსა, ამენ“. მაშასადამე, ექვთიმე მთაწმინდელმა განვითარების ახალ საფეხურზე რომ აიყვანა ქართული მწერლობა, „დაატკბო ენაი ჩუენი“, ეს ღვთისმშობლის შეწევნით მომხდარა. ასე სწამდა ქართველთა მეორე მნათობს, გიორგი მთაწმინდელს და, საერთოდ, ქართველ ერს. მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება.

დღეს ვინ, რა სწამს ქართველ ხალხს? ვისი სჯერა? ქართველთა უმრავლესობას, სამწუხაროდ, არავი-

გაგრძელება მე-5 გვ.

## ხმა ხალხიდან

# „მშრალი კანონი“ ენერგეტიკაში, ანუ „ბუღალტერია არ გინდოდეს, ფული გინდოდეს...“

მართალია, „მშრალი კანონის“ დაწესება სპირტიან სასმელებზე დროებითი მოვლენა იყო, მაგრამ ენერგეტიკაში ეს მოვლენა დღესაც აღინიშნება, ანუ აწარმოო, გაყიდო, სახელმწიფო ბიუჯეტში თითქმის არაფერი შეიტანო, სამაგიეროდ ამით დიდი წვლილი შეიტანო „პერესტროიკის“ დაჩქარებაში.

რა ხდება ენერგეტიკაში უბრალო თვალის გადავლებით?

**1. გენერაცია.** ელექტრო სადგურები ცალკეული პროვნებების ხელშია, თუმცა ამას ხმამაღლა არ გაიძახიან, რადგან სარემონტო თანხებს თავიანთი ჯიბიდან ხომ არ გაიღებენ.



მცირე სიმძლავრის ჰესები გამომუშავებული ელექტრო ენერგიის საფასურს ვერ იღებენ, რადგან მასზე კონტროლს სხვა აწარმოებს. ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, წყალს ღვრის, დენს კი არ გამოიმუშავებს, ნაკლები ბეგარა რომ გადაიხადოს. თუმცა წაგებულნი მაინც არ არიან, იმდენად იაფად შეიძინეს სადგურები, რომ ჯართად აქციონ და გაყიდონ, მაინც მოგებულები რჩებიან.

ყველაზე ახალი და მძლავრი აგრეგატები საქართველოში მე-9, მე-10 ბლოკებია. ეს იგივეა, ჯანმრთელ ორგანიზმს ოპერაცია გაუკეთდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ავადმყოფის სახელი დაერქვას, ანუ „სამკურნალო“ თანხის ასათვისებლად.

**2. ელექტროენერგიის ტრანსპორტირება და განაწილება.**

ამ საქმის მესვეურები გაცილებით უკეთეს პირობებში არიან მომხმარებელთან პირდაპირი კავშირის გამო.

ქვესადგურის პერსონალს შეუძლია შემოსული ენერგიის მესამედი გაყიდოს ან გააჩუქოს. არ არსებობს ერთი ქვესადგურიც კი, სადაც ხდებოდეს ელექტროენერგიის სრული აღრიცხვა, .ბალანსირება, შესვლა, გასვლა და საკუთარი მოხმარების ხარჯის განსაზღვრა, ანუ მოქმედებაშია მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს“ მეთოდი: „ბუღალტერია არ გინდოდეს, ფული გინდოდეს“.

თუმცა არსებობს საკონტროლო მრიცხველები, უფრო სწორად, საკორუფციო ენერგიის აღრიცხვა პირადი ანგარიშსწორებისათვის.

ისეთი კატეგორიის მომხმარებლები, რომლებიც უწყვეტი ელექტროენერგიით სარგებლობენ, თვეში თითო ფიდერზე 1000 ლარს აძლევენ ქვესადგურის მეპატრონეს მრიცხველის დამუხრუჭებაში. უწყვეტი ენერგიის მეპატრონეები კი თავიანთი სატრანსფორმატორო ჯიხურებიდან ყიდიან მას ე. წ. კომერციულ ფასებში. ტარიფი ასეთია: გაწევრიანება 50-400 ლარი, ადგილმდებარეობის მიხედვით. ყველაზე ძვირს კავშირგაბმულობის ობიექტები იხდიან. გაწევრიანება წელიწადში 3-ჯერ ხდება, ბრძანება რომ არ შესრულდეს „ლევი“ აბონენტების ქსელიდან ჩამოხსნაზე.

ყოველთვიური გადასახადი, რომელსაც მრიცხველის გვერდის ავლით იხდის აბონენტი, 30 ლარია. მათი რიცხვი 70000 მდეა რესპუბლიკაში. ამოღებული თანხა ბეგარას არ ექვემდებარება.

არის მოსახლეობის ნაწილი, რომელიც გრაფიკით ღებულობს დენს და დისკრიმინაციას განიცდის „თელასის“ დისპეჩერებისაგან. ქვესადგურის

გაგრძელება მე-6 გვ.

# მოკლე კომენტარი პრეზიდენტის 31 აგვისტოს მოკლე რადიოინტერვიუზე

**პრეზიდენტი ძალიან ცდება**

პრეზიდენტის რადიოინტერვიუს, ისევე როგორც მისი პოლიტიკის გამოუსწორებელი თვისებაა აზროვნების შემდეგი სქემა: რეფორმებს ერთგულად ვატარებთ, ამიტომ გვაქებენ, განსაკუთრებით — პრეზიდენტს აქებენ. მაშასადამე, საქმე კარგად არის და ჩვენი კატასტროფული მდგომარეობა გამოსწორების გზაზე დგას. ამ ძირშივე მანკიერ სქემას ამჯერად ერთი კონკრეტული დეტალიც დაერთო. იმ სასწაულში, რომელმაც ჩვენი ქვეყანა უნდა იხსნას, თურმე, რუსეთის აკადემიის წევრის საგდეევის ხელიც ურევია. კერძოდ, მან უნდა შექმნას ევრაზიის დერეფნის რეალიზაციისთვის აუცილებელი კოსმოსური ტელეკომუნიკაციების სისტემა. როგორც ჩანს, მის გარდა მსოფლიოში ამ სისტემის შემქმნელი ვერ მოინახა. დგება კითხვა: საგდეევი რუსეთის მოქალაქეა. რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ დღეს და განჭვრეტად მომავალში მხოლოდ აგრესიისა და შენიღბული გენოციდის პოლიტიკაა. მაშ მოსალოდნელია, რომ აკადემიკოსმა საგდეევმა თავისი ქვეყნის ინტერესებს ზურგი აქციოს და თავის მიერ შექმნილი სისტემის შესახებ რუსეთის სამსახურებს ერთი ბიტი ინფორმაცია მაინც დაუმალოს?

ამ ინტერვიუში პრეზიდენტი პირველად მიმართავს ჯადოსნურ ილეთს, რომელიც ქვეყნის გაჩენიდან უკანასკნელ იარაღად აქვს ხოლმე ყველა გაკოტრებულ ხელისუფლებას, როდესაც გამწარებულ მოქალაქეთა დაშოშმინება სურს. ეს ილეთი, თავისი კლასიკური სახით, მდგომარეობს ყოველივეს გადაბრალებაში აღმასრულებელი მოხელეებისათვის. მაგრამ ანტიქართული მონური სულისკვეთებით გაჟღენთილ ქართველ პოსტკომუნისტურ წრეებში მას „ჩვენი", ე. ი. ქართველების არასრულფასოვნების მომიზეზების სახე აქვს მიღებული. თურმე ხელფასები და პენსიები იმიტომ ვერ იცემა, რომ „საქართველოში ძალიან დაბალია საგადამხდელო კულტურა — ელექტროენერგიის გადასახადით დაწყებული და საშემოსავლო და მოგებიდან გადასახადებით დამთავრებული".

როგორც იტყვიან, „რატომ ღმერთი ,არ გაიცინებსო!". რა დონეზეა, ნეტავ, დღეს პლატინის ათეული კილოგრამობით მომპარავი ვიცე-პრეზიდენტის დაჭერის კულტურა? საკვების იმპორტში ათეული მილიონობით ჩამჯიბავი სხვა ვიცე-პრეზიდენტის დაჭერის კულტურა? ორმილიარდნახევარი დოლარის საგარეო სესხის ჩამჯიბავი მმართველი ხროვის გაპანღურების კულტურა? ას ორი მილიარდი ჯერ ძალაში მყოფი რუსული მანეთის ჩაჯიბვის მოსურნე ახალგაზრდების ხელისუფლებაში არდასაქმების კულტურა? ამ ხროვისაგან უცხოეთის ბანკებში გადამალული ოცი მილიარდი დოლარის ამობირტყვის კულტურა? ძალოვან სტრუქტურებში რუსეთის აგენტების არდანიშვნის კულტურა? ბანდებზე ხელისუფლების არდამყარების კულტურა? სახელმწიფო დამნაშავეებისა და საქართველოს მტრებისადმი მონურად არდათმობის კულტურა? ეროვნული ინტერესისა და ეროვნული ღირსების დაცვის კულტურა? ყველა ეს „კულტურები" ხომ თვით პრეზიდენტის ხელშია და ყველა ნოლზეა! მაშ რა პირით მოვითხოვთ მოქალაქისაგან, რომელსაც შემოსავალი 20-30 ლარი აქვს, ენერგოსისტემაში მოკალათებული მაფიისათვის თაღლითურად მიპრივატებულ ელექტროენერგიაში თავისი შემოსავლის 20-50 პროცენტის გადახდის კულტურას?

პრეზიდენტი არგადამხდელ მეწარმეებს ემუქრება, დაგსჯითო. ვისი ხელით? მექრთამეებისა და თაღლითების ხელით? პრეზიდენტმა რომ ისტორია უკეთ იცოდეს, მას ისიც ეცოდინება, რომ რეპრესია ამგვარ შემთხვევაში აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის. საქმის გასწორებას ხელისუფლებაში სხვა ადამიანების — ადამიანთა სხვა ტიპის — მოსვლა სჭირდება.

პრეზიდენტი გამოსავალს ხედავს ფინანსთა მინისტრის მ. ჭკუასელის ვაშინგტონს გაგზავნაში კონსულტაციის მისაღებად. აქ ისევ კითხვას ვაწყდებით. ის ხელისუფლება ხელისუფლებაა, რომელიც ჭკუას მხოლოდ ვაშინგტონში, რომში, მექაში ან ანტარქტიდაში სწავლობს? და არის მ. ჭკუასელი ის კონტეინერი, რომელიც ამ ჭკუის იმპორტირებისთვის გამოდგება?

**პრეზიდენტი მთავარს* მალავს**

ზუგდიდის ტერაქტზე მსჯელობისას პრეზიდენტი შეგნებულად მალავს სიმართლეს, როცა ცდილობს გულუბრყვილო მსმენელი დაარწმუნოს, ხომ ხედავთ, აფეთქებები მთელ მსოფლიოში ხდება, ჩვენ რაღა წითელი კოჭი ვართო. დიახ, ხდება ზოგჯერ, სახელდობრ, მაშინ, როცა უზარმაზარ მსოფლიო ძალებს, რომლებიც ამ ტერორისტული აქტების მომწყობნი არიან, ბედი გაუღიმებთ და „შრომა დაუფასდებათ". საქართველოს წინააღმდეგ ამ მიმართულებით მხოლოდ ერთი მსოფლიო ძალა მუშაობს და იმ მსოფლიო ძალას საქართველოში სამხედრო ბაზები აქვს. ვიმეორებ: სამხედრო ბაზები აქვს, რომლის „სახურავის" ქვეშ ათიათასობით შეიარაღებული, ორგანიზებული და დაფინანსებული აგენტი იმალება (თითქმის ყველა — საქართველოს მოქალაქენი).

პრეზიდენტი უმალავს მოქალაქეს (და ამით ატყუებს მოქალაქეს), რომ საქართველოში მომუშავე უცხო აგენტურას, დანარჩენი მსოფლიოსაგან განსხვავებით, შეუძლია აფეთქებები ყოველდღე მოაწყოს და ეს მდგომარეობა გაგრძელდეს მანამდე, სანამ საქართველოში რუსეთის ბაზები არსებობს. პრეზიდენტს რუსეთის ბრძანების შესრულება უფრო ულირს, ვიდრე საქართველოს მოქალაქეთა დაცვა ამ აფეთქებათაგან. და სწორედ ამიტომაა, სხვა ფაქტორებთან ერთად, რომ ძალიან ბევრნი მას საქართველოს ერთგულ პრეზიდენტად არ ვრაცხთ.

**პრეზიდენტი მართალია**

პრეზიდენტი სავსებით მართალია. როცა ახსენებს საქართველოს ხელისუფლების სწორ გადაწყვეტილებას ამ რამდენიმე წლის წინ, „რუბლის" ზონას არ დაჰკავშირებოდა, და ამბობს, რომ საქართველოს ვალუტაზე არ აისახება რუსეთში მიმდინარე საბირჟო პროცესები. დიახ, არ აისახება, თუ ხელისუფლებამ არ მოინდომა, რომ აისახოს.

**შემატკივარი**

# სააკაშვილების აბდალაძის სალანძღავი არაფერი გვჭირს

დიდი აღშფოთებით წავიკითხეთ თქვენი გაზეთის № 55-ში გამოქვეყნებული სტატია „რა განსხვავებაა ვან ბაიბურთიანსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის", რომელსაც ხელს გულაბერ კლარჯი აწერს. დიდი ძებნა არ დაგვჭირვებია იმის დასადგენად, რომ ამ ფსევდონიმის ქვეშ იმალება ვინმე აბდალაძე, რომელსაც ეტყობა საკუთარი გვარი ისე ეთაკილება, რომ უფრო ჟღერად ფსევდონიმს მიმართავს. ამ პასკვილში, რომელშიც ჩვენ მეზობელ სომხეთზე მეტად თავად ქართველი ერია შეურაცხყოფილი, სხვებთან ერთად გაკრიტიკებულია საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი თავკაცი და სააკაშვილების ღირსეული წარმომადგენელი მიხეილ სააკაშვილი და მისი გვარი მოხსენიებულია, როგორც „ნასომხარი". თავისთავად ეროვნულ წარმოშობაში არავითარი სათაკილო არც იქნებოდა, აქ რომ უსინდისო ტყუილთან და ისტორიის გაყალბების მცდელობასთან არ გვქონდეს საქმე.

სააკაშვილების გვარი ერთ-ერთი უძველესი ქართული გვარია, რომელიც ამ სახით წარმომავლობას იღებს გიორგი სააკაძისაგან, რომლის შთამომავლობა გაიყო ორ შტოდ — სააკაშვილებად და თარხნიშვილებად. ამ ორმა შტომ საუკუნეების განმავლობაში არაერთი სახელოვანი შვილი გაუზარდა საქართველოს, მათ შორისაა დეპუტატ სააკაშვილის ბაბუა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი — მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართული მედიცინის ისტორიას, როგორც დარგს. ინტერესს მოკლებული ისიც არ იქნება, რომ მან თავისი ნაშრომებით ქვეყანას დაუბრუნა მისი ნათესავის, დიდი ქართველის — ივანე თარხნიშვილის სახელი.

სააკაშვილები დღესაც კომპაქტურად ვსახლობთ მცხეთის, კასპის და გორის რაიონებში და ძალიან ვამაყობთ როგორც ჩვენი სამშობლოსთვის თავდადებული წინაპრებით, ისე დღევანდელი ღირსეული მოღვაწეებით. შეიძლება მიხეილ სააკაშვილმა ბევრი ბოლმიანი ადამიანი, [illegible] ადამიანებმა სხვა რამ რომ ვერ უპოვეს, თავისი უმეცრების გამო ახლა გვარი დაუწუნეს. ნათქვამია, „უვარგისმა მხედარმა ცხენს ვერაფერი დააკლო და უნაგირს დაუწყო მსხვრევაო". პოლიტიკაში მიხეილ სააკაშვილს ჩვენგან დაცვა არაფერში სჭირდება (მისი პატრიოტული, ქართველი ერის საკეთილდღეო საქმიანობა საყოველთაოდ არის ცნობილი და სწორედ ამან გაუჩინა ბევრი მტერი როგორც ქვეყნის გარეთ, ისე საუბედუროდ, ქვეყნის შიგნითაც), მაგრამ ჩვენ გვარის შეურაცხყოფას არც აბდალაძეს და არც ვინმე სხვას არ ვაპატიებთ.

1. სააკაშვილი ხვთისო დავითის ძე
2. სააკაშვილი ტარიელი დავითის ძე
3. სააკაშვილი ავთანდილი დავითის ძე
4. სააკაშვილი ტარიელი ნიკოლოზის ძე
5. სააკაშვილი რევაზი ვასილის ძე
6. სააკაშვილი ივანე ვასილის ძე
7. სააკაშვილი ნიკოლოზი სამეზის ძე
8. სააკაშვილი ნოდარი სამეზის ძე
9. სააკაშვილი ზვიადი ნოდარის ძე
10. სააკაშვილი ივანე ლავრენტის ძე
11. სააკაშვილი ილია ლავრენტის ძე
12. სააკაშვილი ნატალია ალექსის ას.
13. სააკაშვილი ვალერიან გიორგის ძე
14. სააკაშვილი გიორგი ვალერიანის ძე
15. სააკაშვილი მერი ვლადიმერის ას.
16. სააკაშვილი ზინაიდა ნიკოლოზის ას.
17. სააკაშვილი გიორგი დავითის ძე
18. სააკაშვილი პაატა გიორგის ძე
19. სააკაშვილი ზვიადი გიორგის ძე
20. სააკაშვილი სერგო ილიას ძე
21. სააკაშვილი ილია სერგოს ძე
22. სააკაშვილი გურამი სოლომონის ძე
23. სააკაშვილი იოსები გურამის ძე
24. სააკაშვილი თამარი რევაზის ას.
25. სააკაშვილი მაია რევაზის ას.

# მოჭრის ხელისუფლება იმ ტოტს, რომელზედაც თავადვეა შემოსკუპებული?...

*მესამე გვერდიდან*

(კორუფციის ალაგმვაზე, ეკონომიკის წელში გამართვაზე და ა. შ.), მაგრამ არ შევცდებ-



ით, თუ ვიტყვით, რომ უმთავრესი და სასწრაფოდ გადასაწყვეტი ამოცანები სწორედ იმ სამ * მუხლში ჩამოვაყალიბეთ, რომელსაც მკითხველი ზემოთ გაეცნო.

სხვა საკითხია, გადადგამს თუ არა ხელისუფლება ამ ნაბიჯებს. თუ ქვეყნის ამჟამინდელ მმართველთა ქვეყნის სათავეში მოსვლის გზებსა და საშუალებებს ლოგიკურად მოვიაზრებთ და მათს დამოკიდებულებას ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელისუფალნი შეეცდებიან არ გადადგან ის ნაბიჯები, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, რადგან ის ამ შემთხვევაში იმ ტოტს მოჭრის, რომელზეც თავადვეა შემოსკუპებული. ეს ტოტი კი, მოგეხსენებათ, რუსულ ძალაზეა დაყრდნობილი.



მაშ, რა გამოსავალი რჩება, იკითხავს მკითხველი. გამოსავალი ჩემი, როგორც მოქალაქის რწმენით, ისევ ჩვენშია, ანუ იმ ადამიანებშია, ვისთვისაც ქვეყნის ბედი სულერთი არ არის და სწორედ ამ ადამიანებმა, ანუ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა (აბსოლუტურმა უმრავლესობამ თუ არა) ხმა აიმაღლოს ყოველივე იმაზე, რაც ქვეყანაში ხდება და აიძულოს ხელისუფლება ისე იმოქმედოს, როგორც ეს ქვეყნის ინტერესებშია. თუ ხელისუფლება ხალხის ნებას არ დაყვება, იგი უნდა შეიცვალოს, მაგრამ არა ძალისმიერი გზით, არამედ კანონიერი მეთოდებით და ქვეყნის სათავეში უნდა მოვიდეს ის ძალა, რომელიც გადაარჩენს ქვეყანას.

ყველაფერი ამის გაკეთება კი შეუძლებელია ჭეშმარიტად ეროვნული, სამშობლოს ბედითა და უბედობით შეწუხებულ ადამიანთა ერთმანეთის გვერდით დადგომის, მათი გაერთიანების გარეშე. არადა, დრო ნამდვილად არ ითმენს, ყოველი



დღე, ყოველი კვირა, ეროვნული საქმისათვის ფუჭად გატარებული, გვაახლოებს იმ კატასტროფას, რომელსაც, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ მსოფლიოს რუქიდან საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაქრობა რომ ჰქვია. სიტყვა თქვენზეა, ჭეშმარიტ ქართველებზე!

**სერგო ჯანაშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაი ყმის გასახსენებლად



პირველი სექტემბერი სოფელ გამარჯვების (დედოფლის წყაროს რაიონი) საშუალო სკოლაში ფრიად საზეიმო ვითარებაში დაიწყო. ეს გამოწვეული გახლდათ იმით, რომ სკოლას მიენიჭა ამ სოფლის მკვიდრის, ამავე სკოლაში აღზრდილის, მიმდინარე წლის თებერვალში უდროოდ აღსრულებულის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის **ავთანდილ პოპიაშვილის** სახელი.

სიტყვებით გამოვიდნენ სკოლის პედაგოგები და თბილისიდან ჩასული ავთანდილ პოპიაშვილის მეგობრები — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ნათაძე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გერონტი შუშანაშვილი, პროფესორები მიხეილ მახარაძე, ნაპოლეონ კვარაცხელია, გურამ ყორანაშვილი და ინჟინერი იგორ პატარიძე. მათ გაიხსენეს განსვენებულის ღვაწლი და პატივი მიაგეს მის ხსოვნას. კერძოდ აღინიშნა, რომ ავთანდილ პოპიაშვილი არ მიეკუთვნებოდა იმ ფილოსოფოსთა კატეგორიას, რომელიც ოდენ ფილოსოფიური საკითხების გაცნობიერებით იფარგლებიან და არ არიან ჩაბმულნი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასეთთაგან განსხვავებით განსვენებული იმთავითვე აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, იყო პარლამენტის წევრი. რასაკვირველია, მრავალთაგან განსხვავებით ავთანდილ პოპიაშვილისათვის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვას არავითარი სიმდიდრე არ მოუტანია. თავის კუთვნილ „მძიმე ჯვარს" იგი ეზიდებოდა უანგაროდ, საყვარელი ქვეყნის სასიკეთოდ.

ვისურვებდით, რომ ავთანდილ პაპიაშვილისთანა და კიდევ უფრო აღმატებული მამულიშვილები მრავალი გამოეზარდოს სოფელ გამარჯვების სკოლას, რომელიც ამიერიდან განსვენებულის სახელს ატარებს. აღვნიშნავთ იმასაც, რომ მსგავსი აქციით (სკოლისათვის უდროოდ გარდაცვლილი ავთანდილ პოპიაშვილის სახელის მიკუთვნებით) გამოჩნდა, რომ ქართველობაში არ ჩამკვდარა მადლიერების გრძნობა, რაც ჩვენი ერის მომავალი სულიერი აღორძინების ერთ-ერთ საწინდარად გვესახება.

**გიორგი გვარამაძე**

# სანამ არ არის გვიან!

მაშინ, როცა რუსთაველის თეატრი თავზე გვენგრევა და ალბათ ოპერის თეატრიც მის ბედს გაიზიარებს, გამალებული სიჩქარით რუსთაველის ძეგლის გვერდით ჩვენი „სანაქებო ბიზნესმენები", ახალ ქართველებად სიამაყით რომ მოიხსენებიან, რესტორანს აშენებენ.

ერზე ამაზე მეტი თავს ლაფის დასხმა არსებობს?

სად არის ჩვენი რუსთაველის საზოგადოება, თანაც ორი, ასე გულმოდგინედ რომ ეცილებიან თავმჯდომარის სკამს ერთმანეთს, სად არის ჩვენი საზოგადოება, სულის შემძვრელი სახელი „მამული" რომ დაურქმევია; რატომ არ იმაღლებს ხმას „ილია მართლის საზოგადოება", რას ფიქრობს ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობა, რომელმაც თავის დროზე ღირსეულად დაიცვა ქართული ენა? ვინ აძლევს უფლებას მავანთ და მავანთ ყოველგვარი წმინდა და სათუთად მოსავლელი ადგილი შებლალონ და უცხოელთა საკუთრებად და სალრეო ადგილად აქციონ?

ნუთუ ვერც ერთი პარლამენტარი ვერ ხედავს ამას? ნუთუ ჩვენი პრეზიდენტი, რომელიც ასე ამაყად ყოველდღიურად ესკორტით გადის ამ ადგილს, ერთხელ არ დაინტერესდა რუსთაველის ძეგლის გვერდით რა შენდება? თუ რუსთაველის ქუჩის უცხოენოვანი რეკლამებითა და წარწერებით აჭრელებამ თავი უცხოეთში წარმოადგენინა და ამ „წვრილმანს" ველარ ამჩნევს? რატომ ან ვისი ნებით კარგავს ყველაფერი ქართული თავის სახეს?

ნუთუ, რაც ქართულია, ყველაფერი შეიძლება ფულად ვაქციოთ ბიუჯეტის შევსების საბაბით, — იმ ბიუჯეტის, რომლის ვერც თავი გავიგეთ და ვერც ბოლო. ვერც ვგეგმავთ და ვერც ვასრულებთ და წლის განმავლობაში უზარმაზარი თანხა ისე „გვეკარგება", ველარც კი ვადგენთ, სად, ვის მიერ არის შეჭმული. ვალი კი იმდენი ავიღეთ, რომ ჩვენი შთამომავლობა ვალში გავყიდეთ, მაშინ, როცა ჭკვიანი, სამშობლოზე მზრუნველი მთავრობა ამ ვალით საქართველოს აალორძინებდა.

რუსთაველის ძეგლი და რუსთაველის გამზირი ისე უნდა შემოვუნახოთ ჩვენს შთამომავლობას, რომ მასზე გავლით არა მარტო ქართველი, არამედ ნებისმიერი ადამიანი წარმოიდგენდეს საქართველოს წარსულს, ტკბებოდეს აწმყოთი და აღინთებოდეს საქართველოს მომავლისათვის საგმირო და კეთილი საქმეების კეთებისათვის.

გთხოვთ! ვისაც ხელეწიფება, — ყველას, სანამ გვიან არ არის, შეჩერდეს უდარდელთა და ქარაფშუტათა სალხინოდ და სათარეშოდ მიმართული მშენებლობა და მის ნაცვლად აშენდეს „რუსთველოლოგიის" კვლევის ცენტრი.

**რიგითი მოქალაქე ელენა.**

# „წაღმა ვხნათ და წაღმა ვფარცხოთ"

ზღაპარივით გვახსოვს ყველას
საქართველო ზღვიდან ზღვამდე.
ისიც გვახსოვს, ქართველები
ერთმანეთის სისხლს რომ სვამდნენ.
ჯიბრით, შურით, ქედმაღლობით
ერთურთს გულში ლახვარს სცემდნენ
და ქართული სატევარით
საქართველოს ამარცხებდნენ.
გეხვეწებით, ქართველებო!
«წაღმა ვხნათ და წაღმა ვფარცხოთ»,
თუ საომრად სისხლი გიდუღთ,
ჩვენი მტრები დავამარცხოთ!

**ნიკოლოზ იოსებიძე**

## გულაბერ კლარჯი

# ღვთისმშობელი დასტირის თავის წილხვედრ საქართველოს, ანუ თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს დაერქმევა ნასაქართველოევი

*მესამე გვერდიდან*

სი და არაფრისა არ სჯერა. ქართველი ხალხი ამ სავალალო მდგომარეობამდე უმთავრესად XX საუკუნეში მიიყვანეს და მიჰყავს დღევანდელ ხელისუფლებას. XX საუკუნე უბედურად დაიწყო, ცუდად დაებედა ქართველ ერს. ამ საუკუნის დასაწყისში ქართველ ერს მოუკლეს მამა, ილია ჭავჭავაძე. მკვლელებს ერების არსებობის დრო წარსულის მავნე გადმონაშთად მიაჩნდათ, რადგან ამას უქადაგებდა მათ თავიანთი ახალი რელიგია, მარქსიზმი. ამდენად, ილიას მკვლელებს ქართველობის, როგორც ერის, მოკვლაც უნდოდათ. რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებული საქართველოს სათავეში 1918 წელს, ჩვენდა საუბედუროდ, სწორედ ილიას მკვლელები და მათი ბიძაშვილები მოექცნენ. აბა, რა ხეირს დააყრიდნენ ისინი საქართველოს! ჩვენი ქეყნის მენშევიკური ხელისუფლების ტვინნაღრძობობამ გაუადვილა რუსეთის განითლებულ იმპერიას საქართველოს მეორედ დაპყრობა 1921 წლის დასაწყისში. კიდევ უფრო სავალალო ის არის, რომ დღესაც საქართველოს სათავეში მარქსისტულ-ლენინური, კომუნისტური ხელისუფლებაა მოქცეული. ამიტომაც დღევანდელ საქართველოში ცუდ ტონად ითვლება კარგი ქართველის, პატრიოტი ქართველის, ეროვნული სულით გაჟღენთილი ქართველის ხსენებაც კი. აქედან წარმოდგება, უმთავრესად, ის უბედურება, რაც დღეს საქართველოს თავსაა დატეხილი. ქართველი ხალხი ვერ გაუძლებს გველებივით შემოხვეულ უამრავ მტერს, თუ ის წინაპართა ტრადიციებს, სამშობლოსათვის მის თავდადებას დაივიწყებს, დაივიწყებს იმას, რომ ქართული მიწა-წყლის უმთავრეს შემადგენელ ნაწილს ჩვენი წინაპრების სისხლი და ძვლები წარმოადგენს. მართალია, დღევანდელ ქართველთა სასოწარკვეთილების ძირითადი მიზეზი ეკონომიკური სილატაკეა, მაგრამ აქედან თავის დასაღწევადაც ხომ იმ ჩვენი წინაპრების შემართებაა საჭირო, რომელთაც ცალ ხელში გუთანი ეჭირათ, ხოლო მეორეში — ხმალი.

ქართველთა დიდი ნაწილი დღეს ფიქრობს და საჯაროდაც ქადაგებს, რომ ქართველი ხალხის ისტორია დამთავრდა, ჩვენ აღარაფერი გვეშველება, გადასაშენებლად, დასაღუპად ვართ განწირული. ისინი ქადაგებენ იმასაც, რომ ქართველებზე საზიზღარი ხალხი არ არსებობს. ქართველი, ფულს თუ მისცემ, ცოლშვილსაც გაყიდისო. ამ ხელჩაქნეულთა, ნიჰილისტთა შემყურე ქართველი ახალგაზრდები, ბავშვები კარგს რას ისწავლიან! ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველი ერის დიდი ნაწილი, ნებით თუ უნებურად, დღეს თვითმკვლელობაზე მიდის. საქართველოს ახლანდელი არაეროვნული ხელისუფლება კი ამ თვითმკვლელობას ხელს უწყობს, განაპირობებს. იმ უბედურებების შემდეგ, რაც ქართველმა ერმა საუკუნეების განმავლობაში, კერძოდ, XX ს-ში გადაიტანა, ჩვენი ხალხი დაბნეულია, ხშირად შავს და თეთრს ერთმანეთისგან ვერ არჩევს. ამ დროს მას ჭირდება ეროვნული მოღვაწეების მზრუნველი ხელი, მაგრამ ამჟამინდელ ხელისუფლებას არც თვითონ აქვს ეროვნული სული და სხვათა ამგვარ სულისკვეთებასაც კლავს. ჩვენ წინაპრებსაც რომ ასე ჩაექნიათ ხელი, როგორც დღევანდელი ქართველების დიდ ნაწილს დამართნია, მაშინ ქართველი ერი დიდი ხნის გადაშენებული იქნებოდა. მაგრამ შემოსეულ მტრებს იგერიებდნენ, ქართულ მიწა-წყალზე დამკვიდრებულ მომხდურს ან ულეტდნენ ან საქართველოს საზღვრებს გარეთ მიერეკებოდნენ, საუკუნეთა მანძილზე არ წყვეტდნენ ბრძოლას რომელიმე დაკარგული მხარის, ქალაქის, მაგ., თბილისის დასაბრუნებლად, ხოლო დანგრეულ სახლ-კარს, ეკლესია-მონასტრებს, დანგრეულ საქართველოს თავიდან აშენებდნენ, ვინ იცის, მერამდენედ. ეს იყო იმის მიზეზიც, რომ ქართველი კაცი უცხოეთში ვერ ძლებდა, დიდი ხნის ტყვეობის შემდეგაც თუ მოახერხებდა, სამშობლოში ბრუნდებოდა, თუმცა უცხოეთში შეიძლებოდა უკეთ აეწყო ცხოვრება. ამჟამად კი ქართველთა დიდი ნაწილი უარს არ ამბობს უცხო ქვეყნებში დამკვიდრებაზე, გადაჯიშებაზე, ოღონდ იქ თბილად მოეწყონ.

საქართველოში არასდროს ჩამქრალა, ჩამკვდარა ბრძოლის ჟინი, ლტოლვა თავისუფლებისკენ. ამჟამინდელი ხელისუფლება კი ახერხებს ქართველ ხალხში ამ ჟინის, თავისუფლებისკენ ლტოლვის, ქართული მიწა-წყლის დაცვისაკენ ბუნებრივი მისწრაფების ჩაკვლას. როგორც ჩანს, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ხალხის ამოქმედების, გამოფხიზლებისა ეშინია და ცდილობს ის სიბნელეში ამყოფოს. ამასთანავე, თუ ხალხს არ ექნება მომავლის იმედი, ხელს ჩაიქნევს, არაეროვნული ხელისუფლება ამით არსებობას გაიხანგრძლივებს. ილია ჭავჭავაძე წერდა: „უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან-და შიგ გადავიჩეხებით დედა-ბუდიანად... ვდგევართ და ულონოდ ვბზუით: „მე ვარ და ჩემი ნაბადიო" და ამ ბზუილიდამ არა გამოდის-რა". დღეისათვის, XX-XXI სს-ის მიჯნაზე ეს თხრილი უფსკრულად გვექცა, ხოლო ბზუილი და „მე ვარ და ჩემი ნაბადიო" საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების და მათი ტაშისდამკვრელების მიმართ არის ნაწინასწარმეტყველევი. სანამ ჯერ კიდევ შეიძლება საქართველოს გადარჩენაზე ფიქრი, ქართველმა ხალხმა თავის თავში, ერის წიაღში უნდა იპოვოს ძალა და მშობლიური ქვეყნის სიცოცხლეზე ფიქრს მთელი თავისი უნარი უნდა გადააგოს, სულის შეძვრამდე უნდა დაფიქრდეს იმაზე, თუ ვის უტოვებს მამა-პაპის ანდერძით გადმოცემულ მრავალტანჯულ ქართულ მიწა-წყალს, ვის ხელში აგდებს საკუთარი შვილებისა და შვილიშვილების ბედს. ილია ჭავჭავაძისვე სიტყვით, იმ ქვეყანაში, სადაც ძაღლი პატრონს ვერა ცნობს, „ტყეში მგელთან და აფთართან ცხოვრება უკეთესი და უფრო მოსვენებული იქნება, ვიდრე კაცთა შორის". სამწუხაროდ, დღევანდელი ქართული საზოგადოებრიობაც აქეთკენ მიექანება. მის გასაჯანსაღებლად კი აუცილებელია, საქართველოს რაც შეიძლება მალე ეყოლოს ეროვნული ხელისუფლება.

ვფიქრობ, ქართველთა დიდ ნაწილს ჯერ კიდევ ახსოვს საქართველოს ისტორიის ფაქტები, ეპიზოდები. ეხსომება ისიც, რომ ქართველთა გმირი მეფე, სიმონ I XVI ს-ის მეორე ნახევარში მტერმა ტყვედ ჩაიგდო ხელთ მოღალატე ყორღანაშვილის მეშვეობით. მოგეხსენებათ, საქართველო მტერმრავალი ქვეყანა იყო, მრავალი იმპერია თუ სხვა-

*გაგრძელება მე-7 გვ.*

# საქართველოსთვის მთავარი პრობლემა ხელისუფლების ანტიეროვნული კურსი და პოლიტიკაა...

*მეორე გვერდიდან*

ახალქალაქის სომეხთაგან ავტონომიის მოთხოვნა იყო ლოგიკური შედეგი ჩვენი ჯარის იქიდან გამოძევებაზე ხელისუფალთა არაადეკვატური, არასწორი, გაუაზრებელი რეაგირებისა. სომხებმა დაინახეს რა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უკან დაიხია, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი უსუსურობა და უმწეობა (ასე მოუვა ყველა ხელისუფლებას, რომელიც შექმნის მხოლოდ მილიციას — საკუთარი ხალხის დასათრგუნავად, და არ შექმნის ჯარს — გარეშე მტრებთან საბრძოლველად!), გადაწყვიტეს, რომ „დადგა მათი დრო“ და ამოქმედდნენ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ „დიდი პოლიტიკოსის“ ხელში ეს საქმე ქართველთა საზიანოდ და სომეხთა სასარგებლოდ გადაწყდება. შემდეგ კი ეს მოვლენაც გასაღდება, როგორც „ქართველთა სულგრძელობა“, მის ხელისუფალთა მორიგი „ბრძნული გადაწყვეტილება“ (?!).

სომხები სარგებლობენ (და არა მარტო ისინი) იმითაც, რომ „ომისთვის დღეს ქართველი ხალხი მზად არ არის: ამის შესახებ კი, ალბათ გახსოვთ, მათ „აცნობა“... ჩვენმა პრეზიდენტმა (?!); გალის მოვლენებთან დაკავშირებით მან საჯაროდ, ტელევიზიით განაცხადა: „შევხვდით მე და მინისტრი თევზაძე, ვიმსჯელეთ და დავასკვენით, რომ საქართველო ომისათვის ჯერ მზად არ არისო“ (?!).

საოცარია პირდაპირ: ოდესმე თუ გაგიგონიათ, რომ მტრებით გარშემორტყმული, საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის პრეზიდენტი ასეთ გულგრილობას იჩენდეს საკუთარი ჯარის მიმართ (მათ ოთხი თვეა ხელფასები არ მიუღიათ!), შემდეგ ტელევიზიით საქვეყნოდ აცხადებს თავისი სამხედრო ძალების მოუმზადებლობისა და სისუსტის შესახებ და თანაც ისეთ სახეს იღებდეს, რომ ის ამ საქმეში „არაფერ შუაშია“ (?!). ეს ხომ გაუგონარი ამბავია!



მებრძოლი მხარეები მილიონებს ხარჯავენ, რათა მოწინააღმდეგის საბრძოლო პოტენციალი და საბრძოლო მზადყოფნის დონე დაადგინონ. აქ კი... ნუთუ ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს დაავიწყდა, რომ ტელევიზიას მის მიერ თავის დროზე სამაგალითოდ ინტერნაციონალიზებულ პატარა საქართველოს „მოქკავშირის“ გარდა სხვებიც უყურებენ?

მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა გამიზნულად მიაწოდა ასეთი ინფორმაცია მტრებს, მაგრამ შეცდომა და ასეთი? თანაც ვისგან! მე ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიჭირს განსხვავების დანახვა ჩვენი „დიდი პოლიტიკოსისა“ და ვინმე ბებუთოვის მოქმედებებს შორის! ისღა დაგვრჩენია მადლობა ვუთხრათ არძინბას, რომ მისი ბანდები გალის აკლებას დასჯერდნენ და თბილისზე არ წამოვიდნენ დასარბევად გულმოცემულნი. თუმცა ისე გათავხედდნენ, ენგური გადმოლახეს, ზუგდიდიდან და წალენჯიხიდან ტყვეები გაიტაცეს, დახვრიტეს და... ჩვენ მხარეს ცხედრებში ფული გადაახდევინეს (?!). ცოტა ხნის შემდეგ სამაჩაბლოში გულმოცემულმა ოსებმა (და რუსებმა) დამატებით მძიმე ტექნიკა შეიყვანეს; აფხაზეთში კი აფხაზებმა (და იქაც რუსებმა?!) მდინარე ენგურის გასწვრივ მავთულხლართებიანი საზღვრის დაფიქსირება წამოიწყეს, ხოლო ახლახანს ახალქალაქში სომხებმა (და იქაც რუსების ხელშეწყობით!) ავტონომია მოითხოვეს!

აქ აშკარად ჩანს ჩვენი „უფროსი ძმის“ ნამდვილი სახე (რა ფასი აქვს მის განცხადებას: საზღვრების ურღვევობის ერთგულების შესახებ, მის ჩვენ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ!).

... აი პრეზიდენტის იმ „უნებლიე შეცდომების“ ფასი!

ეს ყველაფერი ლოგიკური შედეგია იმ ლაჩრული, გაუმართლებელი, დამთმობი, ე. წ. „პოლიტიკისა“, რომელსაც ადგას და ატარებს საქართველოს ხელისუფლება მისი გასაბჭოების დღიდან და განსაკუთრებით 70-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე. საქართველოს რეალური დაშლა კი დაიწყო მაშინ, როცა ამომრჩეველთა 87%-ის ნება მოქალაქეთა მიერ თავხედურად ფეხქვეშ იქნა გათელილი და კანონიერი გზით არჩეული ეროვნული ხელისუფლება (თუნდაც უვარგისი) თოფებითა და ზარბაზნებით გააძევეს მათზე გაცილებით უვარგისმა კოსმოპოლიტთა ბრბოებმა (პირველებს პატრიოტიზმი მაინც ქონდათ: ამათ თავისი კუჭის გარდა არაფერი ახსოვთ!).

როგორც ჩანს, გარე თუ შინაურმა მტრებმა ჩათვალეს, რომ სამაჩაბლოსი და აფხაზეთის საკითხები დე-ფაქტო მომთავრებულია და ახლა ახალქალაქი წამოსწიეს წინა პლანზე. აქ ხელისუფალთა პოზიციაზეა დამოკიდებული მოვლენების შემდგომი განვითარების ბედი — თუ მათ აქაც მხდალი, დამთმობი პოზიცია დაიკავეს, ახალქალაქსაც დავკარგავთ და არაა გამორიცხული აზერბაიჯანელებსაც მადა გაელვიძოთ და... ავტონომია მოითხოვონ დედაქალაქით რუსთავში (?!). (ნუ გაგიკვირდებათ — ამისი მცდელობა უკვე იყო 90-91 წლებში).

ხოლო თუ ხელისუფლება დაიკავებს ნორმალურ, პრინციპულ, ეროვნულ პოზიციას, ახალქალაქსაც შევინარჩუნებთ, არც აზერბაიჯანელებთან გვექნება პრობლემები და აფხაზეთ-სამაჩაბლოს საკითხიც, დარწმუნებული ვარ, მოგვარდება. ე. ი. მთავარი პრობლემა საქართველოს ხელისუფალთა არასწორი, ანტიეროვნული კურსი და პოლიტიკაა!



აღარას ვამბობ განდგომილ აჭარაზე, რაც სულაც არაა ასლან აბაშიძის მიზეზით! დარწმუნებული ვარ მათ სხვა გზა არა აქვთ, უნდათ დედასაქართველოსთან, მაგრამ — არა ასეთ საქართველოსთან, რომლისგან მხოლოდ თბილისიღა დარჩა და ტერიტორიის თითქმის 1-3 საზღვრებს გარეთაა მოქცეული (?!).

რა ხდება? რისთვის ვითმენთ ამდენ დამცირებას, შეურაცხყოფას? ნუთუ რაღაც „მილგაყვანილობისთვის“? ე. წ. „ტრუბისთვის, როგორც ჩვენი ხელისუფლება გვარწმუნებს? რა იმდენ შემოსავალს მოგვიტანს ის „ტრუბა“, რომ მას... ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასაც კი ვწირავთ (?!).

ვთქვათ ავიტანეთ ყოველგვარი დამცირება (ისე სტაბილიზაცია არ გვექნებაო — გვარწმუნებს ხელისუფლება!), შემოვიდა ინვესტიციები, გავიყვანეთ „ტრუბა“ (ეს 50X50 — ჯერ კიდევ). უეჭველია, ამ დროს მტრებიც გამოიყენებენ და საქართველო დანაწევრებულ-დაგლეჯილი იქნება მიკრო-სახელმწიფოებად!

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება ამის შემდეგ დაიწყებს მოქმედებას „ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, ხოლო „ტრუბის“ „ხათრით“ და „მის დასაცავად“ ამერიკა და სხვა ევროპული სახელმწიფოები გვერდში ამოგვიდგებიან (?!). ამისი იმედით ვართ?

*გაგრძელება მე-8 გვ.*

---

**საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამგეობის თავ-რეს, ბ-ნ აკ. ბაქრაძეს**
**საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოების გამგეობის თავ-რეს, ბ-ნ ირ. ციციშვილს**
**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავ-რეს, ბ-ნ თ. წივწივაძეს**

არც ისე დიდი ხანია, რაც რეკონსტრუქცია ჩაუტარდა რუსთაველის მოედანს, რის შედეგადაც აღებული იქნა სამოქალაქო ავიაციის სამსართულიანი შენობა, კავშირგაბმულობის სამინისტროს 5 სართულიანი შენობა და სხვა მრავალი.

თბილისის უღირსმა ყოფილმა მერიამ კვლავ წამოიწყო ახალი არამართებული რეკონსტრუქცია, აჩეხა-აჭრა უამრავი მცენარეულობა, ყვავილნარი და ასე დაიწყო კაფე-ბარის მშენებლობა.

ვის არ მივმართეთ თხოვნით ქართველი ხალხის სახელით, 12 დასახელების გაზეთის მეშვეობით, მაგრამ მშენებლობა კვლავ გრძელდება. აი, ასეთი ხელმძღვანელობით იყო დაკომპლექტებული ქ. თბილისის მერია, რომელმაც რუსთაველის მოედანზე წამოიწყო კორუფციული ბიზნესი, ნაცვლად გალამაზებისა და გაფართოებისა. ეს ხალხი ნამდვილად დასასჯელია თანამდებობის ბოროტად გამოყენების გამო, არ იცნობენ რუსთაველს, ალბათ, არც წაუკითხავთ და უსწავლიათ, არ ასრულებენ მის დანაპირებს ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის შესახებ.

მოვითხოვთ მშენებლობის შეწყვეტას და სამართლიანობის აღდგენას.

**შოთა კაპანაძე, შოთა ჭავჭანიძე,**
**დამსახურებული მასწავლებლები.**
**სულ 777 ხელწერით**

---

**დ. ალმაშენებლის პარტიის**
**განცხადება**

გაიმართა დავით ალმაშენებლის პარტიის საგანგებო ყრილობა, რომელმაც განიხილა გაზ. „საქართველოში“ 2 სექტემბერს გამოქვეყნებულ საზოგადოებისადმი მიმართვაზე რეაგირების საკითხი. ყრილობა დაეთანხმა საზოგადოების მოწოდებას ეროვნული პარტიებისადმი, სადაც ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ ადგილობრივსა და საპარლამენტო არჩევნებზე საქართველოს გადასარჩენად. პარტია სავსებით იზიარებს მიმართვაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს და მზადაა მონაწილეობისათვის დასახულ ღონისძიებაში.

**როინ ლიპარტელიანი**
**დავით ალმაშენებლის პარტიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი**

---

## ხმა ხალხიდან

# „მშრალი კანონი“ ენერგეტიკაში, ანუ „ბუღალტერია არ გინდოდეს, ფული გინდოდეს...“

*მესამე გვერდიდან*

მეპატრონე ფულთან ერთად ძლევნსაც მოითხოვს. თუ სადმე ქორწილია, დედოფლის ტორის მეორე ეგზემპლარი ქვესადგურის უფროსისაა.

საინტერესოა, რა უნდა გაყიდოს „თელასმა“, გარდა ელექტრო ენერგიისა? კაბელები, გადამცემი ხაზები, სატრანსპორმატორო ჯიხურები თავისი განმანაწილებლით რამოდენიმეჯერ აქვს ნაყიდი მოსახლეობას. რა თქმა უნდა, ეს არაოფიციალურად ხდებოდა.



არ არსებობს. თუნდაც კომპიუტერული პროგრამის მრიცხველი იყოს, რომ მასზე ზეგავლენა არ მოახდინო, მაგრამ არსებობს წყლის და საწვავის ხარჯვის ექვივალენტური ენერგიის გამოთვლა, რომელსაც სკოლის მოსწავლე მასწავლებლის დახმარებით გააკეთებს.

3. ელექტროენერგიის კარგვები

ადრე, კავშირის დანგრევამდე, საქართველო პირველ ადგილზე იყო ენერგიის კარგვების მიხედვით, ეხლა კი მსოფლიოში ბადალი არ ყავს.

ყოველივე ამას უნიჭო ექსპლოატაცია იწვევს, ობობას ქსელივით დახლართული სადენები. არ ხდება ტევადობითი დენის კომპენსაცია. საერთაოდ, რეაქტიული ენერგია კონტროლს არ ექვემდებარება რის შედეგად ხშირია დაზიანებები, გაუთვალისწინებელი მიწის თხრა დაზიანებული კაბელების აღსადგენად. მოსახლეობაში ზიანდება ტელევიზორები, მაცივრები და სხვა. არ არსებობს ერთი შემთხვევაც კი დაზარალებულისთვის რამიე კომპენსაცია მიეცათ.

ადრე კანონი მაინც არსებობდა სტანდარტის დარღვევის შესახებ, ისმება კითხვა: ნიჭიერი სპეციალისტები არ შემორჩა საქენერგოს? როგორ არა, მაგრამ თუ ხმას ამოიღებს, სამსახურს კი არა, თავს დაკარგავს. თბოსადგურის ცხელი, ხმაურიანი საამქროს მუშა უხელფასოდაა, „თელასის“ თანამშრომელი კი ყოველდღე ხელფასიანია.

ენერგეტიკის „მხედართმთავრები“, რომლებიც ვითომც გადაყენებული იქნენ, უფრო პროფესიონალები ხდებიან ამდაგვარი საქმეებისა. თავიანთი ხალხით დაასაქმეს მთელი საქენერგო. მივლინებულნი იქნენ სხვადასხვა ქვეყნებში, რომ შეესწავლათ, როგორ ხდებოდა გასულ საუკუნეში ამერიკის კონტინენტზე „რასობრივი ჩაგვრა“ და ანალოგია დაემყარებინათ ჩვენში გაჭირვებული ხალხის მიმართ.

4. ენერგო სისტემის მართვა

ადრე საქენერგო მთლიანობაში რომ იყო, მართალია, მოძველებული ტექნიკით, მაგრამ მართვადი იყო. დაცული იყო აქტიური და რეაქტიული ენერგიის განაწილება. იმდენი მოწყობილობა იყო საქართველოს ტერიტორიაზე, რომ 30 წლის მანძილზე თითქმის არაფრის შემოტანა იყო საჭირო, ახლა კი მოწყობილობათა ვეებერთელა სასაფლაოდ იქცა საქენერგოს ობიექტები.

**მოძულებული ენერგეტიკოსი**

# ინტერნეტი და საქართველოს საკითხები

**საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩის სტივენ ნეშის ვიზიტი აფხაზეთში**

***1997 წლის 24 ოქტომბერს აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა შეხვდა საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩს, ს. ნეშს.***

ელჩი დაინტერესდა ტყუარჩალში ქვანახშირის მოპოვების საკითხით და თუ შეიძლება გამოყენება აფხაზეთის რესპუბლიკის დიდი შენობების გასათბობად.

ბატონმა ნეშმა აღნიშნა, რომ 10-20 წელიწადში აფხაზეთი ძალიან მნიშვნელოვანი რეგიონი გახდება. ამასთან დაკავშირებით, მან ხაზგასმით განაცხადა, რომ ბრიტანეთის კომპანიები დააძალებენ მთავრობას აფხაზეთში ბრიტანეთის საკონსულოს გახსნას. ბატონი ნეშის შეხედულებით, ეს განსაკუთრებით აუცილებელი გახდება ტურიზმის ინდუსტრიის სრულად ამოქმედებისას.

**აფხაზეთის პრეზიდენტის, ვ. არძინბას შეხვედრა ბრიტანეთის ელჩთან საქართველოში, ს. ნეშთან (24 ოქტომბერი, 1997 წ.)**

**ნეში:** როგორ შეაფასებთ დსთ ქვეყნების შეხვედრას და რას გვეტყვით ჟენევის მომავალ შეხვედრაზე? სამწუხაროდ, ჟენევის წინა შეხვედრაზე მხოლოდ ლაპარაკი და ლაპარაკი იყო, ვერ შევძელით იმის გაკეთება, რისთვისაც იქ ჩავედით.

**არძინბა:** სამშვიდობო ძალების მანდატის საკითხი კარგად გადაწყდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათი მანდატის გაგრძელება საქართველოსთვისაც სასარგებლოა. სირთულეა, რომ საქართველოს სამშვიდობო ძალების მანდატის შეცვლა სხვა საკითხების გადასაჭრელად გვჭირდება.

**ნეში:** თქვენ არ მოგწონთ სამშვიდობო ძალების მრავალეროვნული ნაწილით შეცვლა?

**არძინბა:** ჩვენ არ მოგვწონს სამშვიდობო ძალების პოლიტიკაში ჩართვა.

**ნეში:** საერთაშორისო სამშვიდობო ძალთა წევრები საქართველოს მიემხრობიან?

**არძინბა:** ჩვენ უკვე ჩამოვაყალიბეთ ჩვენი წინადადებები ამ საკითხზე და გავუგზავნეთ გაეროს გენერალურ მდივანს.

**ნეში:** მოლაპარაკებისას მხოლოდ რუსეთის მონაწილეობა მიგაჩნიათ სასურველად? იქნებ შესაძლო გახდეს არსებული ვითარების შეცვლა და აფხაზეთში ინვესტიციების მოზიდვა?

**არძინბა:** ჩვენ არაფერი გვაქვს მოლაპარაკებებში სხვა ქვეყნების მონაწილეობის და რჩევების შეთავაზების საწინააღმდეგო, მაგრამ ისინი არ უნდა ჩაერიონ მოლაპარაკებაში. გვსურს, რომ აფხაზეთის ნება გაითვალისწინონ და არ მოგვახვიონ თავს თავიანთი პირობები. სხვა შემთხვევაში, „საქართველოს მეგობარ ქვეყნებს“ დიდი წინააღმდეგობა შეხვდებათ „აფხაზეთის მეგობრების“ მხრიდან. აფხაზეთის მდგომარეობის გაუთვალისწინებლად საკითხი წინ ვერ წაიწევს.

**ნეში:** ვის გულისხმობთ „აფხაზეთის მეგობრებში?“

**არძინბა:** ჩრდილო კავკასიის მოძმე რესპუბლიკებს.

**ნეში:** ბრიტანეთი არ აპირებს აქეთ ჯარის ნაწილის გამოგზავნას, არც ის არის ჩვენი საქმე, რომ საქართველოს და აფხაზეთს შორის ხელშეკრულება დღემდე ხელმოუწერელია.

**არძინბა:** სწორედ „საქართველოს მეგობარი ქვეყნების“ მრავალგვარი მხარდაჭერის გამო აჭიანურებს მოლაპარაკებას საქართველოს მთავრობა.

**ნეში:** აფხაზეთის მომავლის სასიკეთოდ სასურველია მოლაპარაკებებში რამდენიმე ქვეყნის ჩართვა. მსურს განვაცხადო, რომ ბრიტანეთს არანაირი ფარული, საიდუმლო გეგმა არ გააჩნია და არ გვსურს ფარდის მიღმა, უკანა ოთახში დარჩენა.

**არძინბა:** მოლაპარაკების ჩიხიდან გამოსაყვანად აფხაზეთის წინადადებების გათვალისწინებაც აუცილებელია.

**ნეში:** დიდ ბრიტანეთს სურს ნავთობის პროექტების ამუშავება, მაგრამ დღეს ჩვენთვის ბუნდოვანია, თუ როდის შეიძლება მათი ამოქმედება. რას გვეტყვით აფხაზეთის შელფის დაზვერვაზე?

**არძინბა:** ეს ძიება ფართოდ უნდა გაიშალოს, ამისათვის კი საჭიროა, რომ ფული მარტო საქართველოს კი არა, აფხაზეთსაც მისცენ. ამ საკითხზე უკვე მოვეთათბირეთ გერმანიის ელჩს საქართველოში. მან ეს გაითვალისწინა, ჩაინიშნა. ბრიტანეთი გერმანიას მხარს აუბამს ამ საკითხში?

**ნეში:** მე ზუსტად არ ვიცი, რამდენ, რა თანხაზეა საუბარი.

შეხვედრაზე შეეხნენ აფხაზეთში ბრიტანეთის საკონსულოს გახსნის საკითხს. შეხვედრის დასასრულს ს. ნეშმა იმედი გამოთქვა, რომ თავმოყრილი სიძნელეები მალე სასიკეთოდ გადაწყდება.

**მასალა მოგვაწოდა**
**ნათელა ფოფხაძემ**

# მასწავლებელი — იმედი ხვალის...

მთავარია აღზრდა და არა გაზრდა! — ასე ფიქრობს ჭეშმარიტი პედაგოგი. აბა, გაზრდით ხეც კი იზრდება — წყალს თუ ხანდახან დაუსხამ.



როგორი მომავალი ეყოლება ჩვენს ქვეყანას, ბევრადაა დამოკიდებული მასწავლებლის ნიჭსა თუ უნარზე — დათესოს თავიდანვე სიკეთის მარცვალი მოსწავლის სათუთ სულსა და გულის თვალუწვდენელ კუნჭულში. სიკეთის ნაყოფი კი — აუცილებლად მომავალში სასიქადულო მამულიშვილი იქნება — „ჩემო პატარებო, მე თქვენი პირველი მასწავლებელი ვარ, ჩვენ უნდა დავმეგობრდეთ. ერთად უნდა ვითამაშოთ და თან ვისწავლოთ. — შენ რა გქვია გოგონა?“ — ასე დაიწყო პირველი გაკვეთილი ქ. თბილისის კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელმა, ქალბატონმა **ეთერ მუხაშავრიამ**.

უკვე მერამდენედ შესციცინებენ გაფართოებული თვალებით სახელგანთქმულ პედაგოგს პატარები. მის სამასწავლებლო კლასში მოხვედრა ყველა მშობლისთვის და მოსწავლისათვის საამაყოა.

ქალბატონი ეთერი განსაკუთრებული, აღიარებული პედაგოგია. წლევანდელი სექტემბერი მისთვის რიგით მეორმოცეა. პროფესიონალიზმი ყველა საქმეში დასაფასებელია, მაგრამ ასწავლო პატარას, ჩაუნერგო „დედა-ენის“ და სამშობლოს სიყვარული, უჩვენო ჭეშმარიტი ცხოვრების უტყუარი გზა — ეს ალბათ ყველაზე მეტად საპატიო მოვალეობაა ადამიანისათვის. ამიტომაა ყველაზე ურთულესი პროფესია პედაგოგობა! მითუმეტეს, იყო პირველი მასწავლებელი!

დიახ, ცნობილ ჭეშმარიტებას გავიმეორებთ თუ ვიტყვით, რომ ბავშვის ბედის, მომავლის განსაზღვრაში, ხშირად მასწავლებლის მიერ სწორად დანახულ ნიჭსა და უნარს უთამაშია დიდი როლი.

რამდენი მომავალი ექიმი, ინჟინერი, ჟურნალისტი, იურისტი, ცნობილი ადამიანი დაუფრთიანებია ქალბატონ ეთერს და დღესაც უდიდესი მადლიერების გრძნობით აღვსილი ყოფილი მოსწავლეები კვლავაც აკითხავენ თავის პირველ მასწავლებელს — ქალბატონ ეთერს...

ზოგიერთ მათგანს, უკვე თავადაც მშობელს, ისევ მასთან მოუყვანია პირველ სექტემბერს შვილი სასწავლებლად.

წლების განმავლობაში მეორდება მოსწავლეთა სახელები: თამარი, თორნიკე, დავითი, ელენე, ირაკლი, გიორგი, ნანა... საოცარია არც ერთი ყოფილი მოსაწვლის გვარი მასწავლებელს კიდევ არ დავიწყებია. ან როგორ დამავიწყდებაო, ყველა მათგანი ხომ შვილია ჩემი, ამბობს ქ-ნი ეთერ მუხაშავრია.

ჩემდაუნებურად მახსენდება — „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“. საბედნიეროდ, ქალბატონი ეთერი საკუთარი ქალური ცხოვრებითაც ბედნიერი ქალია.

შენ რა გქვია, პატარა ანგელოზო? — რიგის მიხედვით კვლავ კითხულობს ეთერი მასწავლებელი და კვლავ მეორდება ოთხი ათეულის წინანდელი სახელები...

ღმერთო, უმრავლე საქართველოს ასეთი მასწავლებლები და მათგან აღზრდილი სამშობლოს საამაყო შვილები — ვაჟა, ილია, აკაკი, თამარი...

**ქეთი ჩადუნელი**



# მობრძანდით, ბატონო ზაზა...

### ანუ რატომ არ ცხადდება პრეზიდენტის წარმომადგენელი სასამართლოში

საკმარისად გახმაურებულია და ფართოდ გაშუქებული ბუნების დაცვის საზოგადოების და ხელისუფლების დაპირისპირების ფაქტი საზოგადოების მუზეუმ-ლექტორიუმის შენობის (ჭავჭავაძის, 35) რეკვიზირების გამო. აღსანიშნავია, რომ ბრძოლის პირველი რაუნდი ბუნების დაცვის საზოგადოების სასარგებლოდ დამთავრდა — მთაწმინდის რაიონის სასამართლომ დავა, სადაც ისინი პრეზიდენტის განკარგულების უფლებამოსილების აღდგენას ანუ თბილისის ექსმერის განკარგულების გაუქმებას ითხოვდნენ, მათ სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ვინაიდან პრეზიდენტის აღნიშნული განკარგულების შესრულებისა ბუნების დაცვის საზოგადოებას მაინც არ სჯერა, იგი განაგრძობს დავას იმავე რაიონის სასამართლოში საზოგადოებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის, რაც თანხებში 10 მლნ. ლარზე მეტს შეადგენს, მაგრამ მოპასუხისა და სახელმწიფო მოხელეთა ბიუროკრატიის მავთულ-ხლართებს ბოლო არ უჩანს.

პრეზიდენტის ახალი წარმომადგენელი, როგორც მოპასუხე მხარე, სხვადასხვა საბაბით და მოტივით ჯიუტად არიდებს თავს სასამართლოზე გამოცხადებას.

ისედაც გასავათებული ბუნების დაცვის საზოგადოების გამგეობა დაბეჯითებით თხოვს პრეზიდენტის წარმომადგენელს: მობრძანდით, ბატონო ზაზა, მობრძანდით სასამართლოში.

**ნ. ჭანტურია**

**გულაბერ კლარჯი**

# ღვთისმშობელი დასტირის თავის წილხვედრ საქართველოს, ანუ თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს დაერქმევა ნასაქართველოევი

*მეხუთე გვერდიდან*

დასხვა ჯურის ბარბაროსები ცდილობდნენ მის ჩაყლაპვას, გაუდაბურებას და ჩვენს ქვეყანაში მოღალატეების პოვნას, გამონახვასაც ახერხებდნენ, როგორც ქართველთა, ისე, მით უფრო, საქართველოში მცხოვრებ უცხოთესლთა შორის. უფრო მეტიც, მტერი საგანგებო ღონისძიებებს მიმართავდა საიმისოდ, რომ საუკუნეთა განმავლობაში განუწყვეტელი ბრძოლებისაგან დაუძლურებულ საქართველოში მოღალატეები მოემრავლებინა და ამით ჩვენი სამშობლო კიდევ უფრო მეტად დაეუძლურებინა, მიწასთან გაესწორებინა. მაგრამ ქართველი ერი ფარ-ხმალს არ ყრიდა, შეუპოვრად ებრძოდა როგორც მომხდურს, ისე მის მიერ საქართველოში გაჩენილ დასაყრდენს — ჩვენი ქვეყნის მოღალატეებს. ჩვენი წინაპრები ყოველი ღონით ცდილობდნენ, რომ თითოეული მოღალატე სანიმუშოდ, სამაგალითოდ დაესაჯათ. ასე მოუვიდა ყორღანაშვილსაც. იგი კლდიდან გადააგდეს, უფსკრულში გადაჩეხეს. საქართველოს სიცოცხლისათვის მებრძოლმა ქართველმა ერმა თავისი რისხვა მოღალატის მიმართ ლექსითაც გამოხატა: „ყორღანაშვილს ქაოაფიდაი, ხელი ჰკოეს და გადაფრინდა“.

უფრო ადრინდელი ვითარების შესახებ წერილობითი ცნობები, მატიანეები არაფერს გვაუწყებენ, მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას დაბეჯითებით, რომ ქართველი ერი სამი ათასი წლის მანძილზე თითქმის განუწყვეტლივ ომობდა სამშობლოს სიცოცხლის გადასარჩენად. არ შეიძლება ამ ერის ერთ ნაწილში მაინც არ იყივლოს წინაპართა სისხლმა და ქართველი ხალხი დღეს თუ ხვალ კვლავ არ აღდგეს საქართველოს სიცოცხლის გადასარჩენად. შეუძლებელია, საქართველოს სამიათასწლოვანმა ომმა სიცოცხლისათვის, სისხლის წვიმებში, ათასწლეულთა წყვდიადში გამოტარებულმა მისმა გმირულმა თავგადასავალმა უკვალოდ ჩაიაროს, უკვალოდ გაქრეს სისხლით ნაწერი „ქართლის ცხოვრება“, „საქართველოს ცხოვრება“, ახლანდელ განათლებულ ეპოქაში. მაშინ კი ბევრ დღევანდელ ქართველს არ აცდება ქარაფიდან გადაფრენა. არც ერთ ქართველს არ ვუსურვებ ამას. ამიტომ, რაც შეიძლება მალე უნდა მოვეგოთ გონს. მანამდე კი, დღეს ღვთისმშობელი დასტირის თავის წილხვედრ საქართველოს, რადგან ღმერთმა დაგვიფაროს და თუ ყველაფერი ისე გაგრძელდა, როგორც ამჟამადაა საქართველოში, თუ არ მოხდა ეროვნული სულის აღზევება, თუ დროზე არ გადავდგით აუცილებელი, ქმედითი ნაბიჯები აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ჯავახეთის დასაბრუნებლად, ასევე, სხვა მტკივნეული, უმწვავესი პრობლემების გადასაჭრელად, ყოველმხრივი კრიზისიდან, ჩიხიდან ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს გამოსაყვანად, მაშინ საქართველოს ნასაქართველოევი დაერქმევა — მსოფლიოს უძველესი კულტურის მქონე ქართველ ხალხს XX-XXI სს-ის მიჯნაზე სოდომისა და გომორის ბედის გაზიარება ემუქრება. ნუთუ ამას შეიძლება შეურიგდეს საღად მოაზროვნე ქართველი? მამა-პაპათა ტრადიციებზე დამყარებით მან შეუძლებელი არ უნდა შეძლოს?

# საქართველოსთვის მთავარი პრობლემა ხელისუფალთა ანტიეროვნული კურსი და პოლიტიკაა...

მეექვსე გვერდიდან

ე. ი. ვილაცის და რალაცის იმედად ჯერ საჭიროა შევურიგდეთ ქვეყნის დაშლა-დანაწევრებას, ხოლო შემდეგ („ტრუბას" რომ გავიყვანთ) ვიბრძოლებთ მისი ხელახლა გასაერთიანებლად? ფაქტიურად ამას გვთავაზობს დღევანდელი ხელისუფლება, რაც სრული აბსურდია და მორიგი სატყუარა, რომლითაც ხალხს ასულელებენ დროის მოგების მიზნით. ხოლო ამ „დროს" ხელისუფლება „ნაყოფიერად" იყენებს 70 წლის განმავლობაში ხალხის შრომით შექმნილი ქონების ურთიერთშორის გადანაწილებისა, დატაცებისა და საზღვარგარეთ გადამალვისათვის. აი, ამისთვის უნდათ ეს დრო! ამისთვის იგონებენ სხვადასხვა აბსურდულ სატყუარებს ხალხის შესაკავებლად!





ხოლო, როცა ყველაფერი გაირკვევა და ტყუილი გამოაშკარავდება, ისინი ყველა საზღვარგარეთ — თავის „ქოხებში" იქნებიან. ჩვენ კი ხელთ შეგვრჩება დანაწევრებული, დაგლეჯილი, გალატაკებული საქართველო... და შესაძლოა „ტრუბა", რომლის შემოსავალიც, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით... 5 ლარს არ გადააჭარბებს წელიწადში საქართველოს თვითეულ მოქალაქეზე (?!) კომენტარი თქვენთვის მომინდვია!

აი ასეთია დღევანდელ ხელისუფალთა „პოლიტიკის" მიზნები, მეთოდები და პერსპექტივები! ამიტომაა ის ასეთი წინააღმდეგობრივი და მიუღებელი ერისათვის. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

ამ ხელისუფლებას თუნდაც მცირე პასუხისმგებლობის გრძნობა, პატრიოტიზმი და სინდისი რომ ქონდეს, თვითონ გადადგებოდა (ამდენი მარცხისა და თავის შერცხვენის შემდეგ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში!). მაგრამ უბედურება ისაა, რომ მსგავსი რამ ეტყობა მათ არ აწუხებთ. ისინი ისეთი მეთოდებით არიან მოსული, რომ ხელისუფლებას ნებით არასოდეს დათმობენ; მთლიანად რომ დაინგრეს საქართველო (დანგრეულია და ეგ არის!), მაინც უტიფრად განაცხადებენ: „ვინ, თუ არა ჩვენ (?!)".

სადამდე უნდა ითმინოს ქართველმა ერმა თავისი უნიჭო ხელისუფალთა შეცდომები, რომლებსაც შემდეგ თვითონვე „დიდ პოლიტიკად" და „ბრძნულ გადაწყვეტილებად" (?!) ასაღებენ? გახსოვთ ალბათ, აფხაზეთის, სამაჩაბლოს საკითხების მოგვარება თავის თავზე აილო პრეზიდენტმა (კიდევ სხვა უამრავი რამ!). მერე რა აქედან? ვინაა პასუხის მომთხოვნი?

მივმართავ ჭეშმარიტ პატრიოტულ ძალებს, რომელთაც პირველ რიგში სამშობლოს სიყვარული ამოძრავებთ და მხოლოდ შემდეგ პირადი კარიერა (და არა პირიქით!), მათ რომლებსაც ეროვნული მთავრობის დამხობაში წილი არ უდევს: გაერთიანდით და გააქტიურდით, მიმართეთ ხალხს. ისინი ადვილად არჩევენ ჭეშმარიტ მამულიშვილებს კარიერისტი დემაგოგებისაგან მათი საქმეებით. ხალხი მხარს დაგიჭერთ! გაერთიანდით და მოიფიქრეთ როგორ ჩამოაცილოთ მშვიდობიანი გზით ეს ხელისუფლება მართვის სადავეებს. ქვეყანა დაღუპვის პირსაა! ასეთ დროს თქვენი გათიშულობა და მუნჯად ყოფნა დანაშაულია სამშობლოს წინაშე!

მივმართავ აგრეთვე დღეს აქტიურად, მაგრამ უშედეგოდ მოღვაწე სხვადასხვა პარტიათა ე. წ. ლიდერებს, რომლებიც სიტყვით ეროვნულობენ, მაგრამ საქმეებს მტრის გასახარებლად აკეთებენ: თქვენ ერთჯერ თავი უკვე შეირცხვინეთ, დაუპირისპირდით რა ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას და დაამხეთ ის (გვარები საჭირო არაა — ყველამ გახედოს თავის განვლილ გზას!). ამიტომ ტყუილად ნუ გგონიათ, რომ „სწორედ თქვენ ხართ სამყაროს ცენტრი", ტყუილად ნუ ცდილობთ, მაინცდამაინც „თქვენს გარშემო" მოხდეს ეროვნულ ძალთა გაერთიანება. თავისთავად ასეთ სურვილში ცუდი არაფერია, მაგრამ ეს არ მოხდება, იმიტომ, რომ რამდენჯერმე თქვენ ვერ გაამართლეთ ნდობა და ხალხი აღარ გამოგყვებათ. ასეთ ვითარებაში სალი აზრი მოითხოვს — სძლიეთ პირადულ ამბიციებს ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ, „შეცდენილები" დროებით მაინც გვერდზე გადექით და ნუ ელობებით ახალი პატრიოტული ძალების წინ გამოსვლას, ნუ თრგუნავთ მათ თქვენი წარსული „დიდებით და ავტორიტეტით". თქვენ კიდევ შეგიძლიათ დაამტკიცოთ თქვენი ეროვნულობა, ოღონდ „პირველის" რანგში ამას თქვენი დღევანდელი ჰაბიტუსის გამო ჯერ-ჯერობით ვერ შეძლებთ. გაუშვით წინ შეურცხვენელი, „სუფთა ხელების" მქონე პატრიოტი ახალგაზრდები, დაეხმარეთ მათ. აი ესაა, ამ მომენტში, თქვენი მოღვაწეობის ერთადერთი მისაღები ფორმა, რომელსაც შეუძლია საერთო ეროვნული საქმის სასარგებლოდ შედეგები გამოიღოს.

გარკვეული დროის შემდეგ, თუ ხალხი დაინახავს თქვენს ჭეშმარიტ ეროვნულ ზრახვებსა და თავგანწირვას, შეიძლება ისევ „პირველებად" ამოტივტივდეთ. ახლა კი ნუ მოისურვებთ ყველაფერს ერთად, როგორც უკვე მოხდა (ერთდროულად მოინდომეთ თავისუფლება, დემოკრატია, პირველობა, შეძლებული ცხოვრება...), თორემ ისევ პირში ჩალაგამოვლებული დარჩებით, როგორც ეს ერთჯერ უკვე მოხდა.

მიუხედავად ჩემი პატივისცემისა მანანა არჩვაძე-გამსახურდიასი და მისი ოჯახის მიმართ, მისი მოქმედებები დღეისათვის არასწორი და მოძველებული ჩანს: მიტინგები და განსაკუთრებით ე. წ. „შიმშილობები" (როცა სინამდვილეში არავინ შიმშილობს), დისკრედიტირებული და არაპოპულარული გახდა ხალხში. ამიტომ საჭირო ხომ არაა მოქმედების ტაქტიკისა და ფორმების შეცვლა? ასევე გასათვალისწინებელია, რომ გარშემომყოფთა უმრავლესობას მტრებად და მოღალატეებად გამოცხადება თავგზას უბნევს ადამიანებს, ხოლო მისი შვილთან უთანხმოება თუ სინამდვილეს შეეფერება... მე აღარ ვიცი, რა მაშინ! (მაშინ უმჯობესია დედაც და შვილიც ჩამოსცილდნენ პოლიტიკას საერთოდ!).

მიუხედავად ყველაფრისა ჭეშმარიტმა ეროვნულმა ძალებმა უნდა გამონახონ საერთო ენა და გაერთიანდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს გამოუსწორებელი საფრთხე ემუქრება — საფრთხე დაშლა-დანაწევრებისა.

ქვეყნის მართვის სადავეებთან უნდა მოვიდნენ ეროვნული ძალები, რომლებიც შეაკავშირებენ გახლეჩილ არა მარტო პარტიებს, არამედ ოჯახებსა და ადამიანებსაც, უპატრონებენ ერს და გადაარჩენენ საქართველოს დაშლისაგან და „კორიდორად" გადაქცევისაგან იმ ფორმით, რა ფორმითაც ეს დღევანდელ, აშკარად ანტიეროვნულ ხელისუფლებას აქვს ჩაფიქრებული.

პარტიები, რომლებიც ფაქტიურად ერთი (თავისუფლებისთვის) იდეისთვის იბრძვიან, მაგრამ ასეთ კრიტიკულ მომენტშიც კი საერთო ენას ვერ გამონახავენ, კარიერისტთა მატყუარათა პარტიებია; მათ არსებობის უფლება არა აქვთ, მათი არსებობა ამორალური ხდება და ისინი აუცილებლად უნდა დაიშალონ! (ან გაერთიანება — ან თვითლიკვიდაცია!).

**ამომრჩეველი ნუგზარ თავაძე**
**29.08.98 წ.**

**P.S.** წერილი გამოსაქვეყნებლად მზად მქონდა, რომ 3 სექტემბრის გაზეთ „ახალ თაობაში" დაიბეჭდა ორი სტატია, რომლებიც აქტიურად ეხმაურებიან ამ წერილის პათოსს. აქედან დასკვნა ერთია: ეროვნულ ძალთა გაერთიანების საკითხი მომწიფებულია და ის ქართველი ერის უმრავლესობას აღელვებს. როგორც იქნა, ამდენი კატაკლიზმების შემდეგ მივედით ამ დასკვნამდე. აბსოლუტურად ზუსტია და მისაღები ბ-ნ მ. მაჭავარიანის პოზიცია: მხარდაჭერა მხოლოდ გაერთიანებულ ეროვნულ მოძრაობას და არავითარი მხარდაჭერა ცალკეულ პარტიებს!

საუბედუროდ, გაერთიანების კოორდინატორისა და ცენტრის ფუნქციებს თავისთავზე ის ძალები იღებენ, ვინც ერთ დროს ეროვნული ხელისუფლების დამხობაში წილი დაიდო და ვისაც ამისი მორალური უფლება ნაკლებად აქვთ. საეჭვოა ასე გაერთიანება შედგეს. ბ-ნი ი. წერეთლის ავტორიტეტი „აღარაა საკმარისი" ხალხის გასაყოლიებლად, მან ძლიერი დევალვაცია განიცადა ცნობილ მოვლენათა გამო. არადა, ექსპერიმენტების დრო ნამდვილად არაა. ამიტომ, ბ-ნო წერეთელო, თქვენ რა თქმა უნდა — უნდა იყოთ ეროვნულ მოძრაობაში ერთ-ერთი ლიდერის, მაგრამ არა „პირველის" როლში. ნუ შეეჭიდებით ტვირთს, რომლის აწევა გაგიჭირდებათ, როგორც უკვე მოხდა რამდენჯერმე. გამოიჩინეთ დიდსულოვნება — გზა მიეცით მამაც, გამბედავ ახალგაზრდებს, დაეხმარეთ მათ თქვენი გამოცდილებით, რათა გაუადვილოთ საერთო-ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლა. ასე სჯობს საერთო საქმისთვისაც და პირადად თქვენთვისაც.

ჩემი წერილის პათოსს ძლიერ ეხმაურება ასევე ი. ჭავჭავაძის საზოგადოების განცხადება გენერალ ნაყოფიას საჯარო განცხადების თაობაზე იმის შესახებ, რომ „საქართველოს საჰაერო სივრცე დაუცველია და შეიძლება თბილისის ნებისმიერ დროს დაბომბვაო (?!). თუ ობიექტურნი ვიქნებით — ეს მტრების მოპატიჟებას გავს თბილისის დასამხობად და ასევე ძლიერ გავს სომეხი ბებუთოვის მიერ ქართველთა დასმენას 1795 წელს.

განსაცვიფრებელია, რა სახელმწიფო მოღვაწეები და გენერლები შეიკრიბნენ ასეთები ხელისუფლების სათავეში, რომ ასეთ ელემენტარულ „შეცდომებს(?!)" უშვებენ: გაზეთებში, საჯაროდ აცხადებენ ისეთ ცნობებს, რაც სახელმწიფო საიდუმლოების საგანს უნდა შეადგენდეს და „ცხრაკლიტულში" უნდა ინახებოდეს. ხანდახან დაეჭვდები: არის კი ეს „შეცდომები" უნებლიე? ხომ არ ხდება ისინი გამიზნულად? მიზანი ერთი შეიძლება იყოს: ჩაუნერგონ ქართველ ერს საკუთარი არასრულფასოვნების კომპლექსი და ჩააგონონ, რომ სხვისი (კერძოდ — რუსეთის) მფარველობის გარეშე ის ვერ იარსებებს, მას დაბომბავენ, გაანადგურებენ, რადგან „ჩვენ მზად არა ვართ ომისთვის (?!)", „ჩვენი საჰაერო სივრცე დაუცველია (?!)", ჯარი არ გვყავს, რუსეთს ვერ მოვერევით და ა. შ. გამიზნულად ხომ არ ხდება ქართული ჯარის კომპრომიტირება, მისთვის აუტანელი, ისეთი პირობების შექმნა, რომ თვითდაშლა გამოცხადდეს? წარმოიდგინეთ — დღეს თავდაცვის სამინისტროში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საშემოდგომო გაწვევის საკითხი?! ჯარის კომპრომეტირება იყო აგრეთვე ის, რომ ხდებოდა უმაღლეს სამხედრო წოდებათა და ჯილდოების უსისტემოდ, განურჩევლად მინიჭება (დეზერტირთა კატასტროფული რაოდენობის დროს იმ პირებს, ვინც ამაზე პასუხისმგებელი იყო — მთავარი შტაბის უფროს მეფარიშვილს და მინისტრის მოადგილეს ალმზრდელობით დარგში სოხაძეს გენერლის სამხრეები „მოარგეს" (?!). არავითარი სოციალური დაცვა ოფიცრებს არ გააჩნიათ: ოჯახის შენახვა კი არა, საკუთარი თავის შენახვა უჭირთ ე. წ. სიმბოლური „ხელფასებით". ოთხი თვეა ამ ხელფასებსაც არ აძლევენ (?!).





მათ ტრანსპორტში შეურაცხყოფენ, გადასახადების გადახდისას არავითარ შეღავათს არ უკეთებენ, რადგან ყველაფერი კომერციული გახდა და ა. შ. ოფიცრები ულატაკეს ფენას უახლოვდებიან გაუსაძლისი, ეკონომიური მდგომარეობის გამო: კვების ფულს ჯერ რას აძლევენ და იქედანაც „საშემოსავლოს" უკავებენ, რაც უპრეცედენტო რამაა.





ყველაფერი ეს ძლიერ წააგავს ხელისუფალთა მხრიდან გამიზნულ ქმედებას და მით საშურია ეროვნულ ძალთა გაერთიანება მართვის სადავეებიდან ანტიეროვნულ, კარიერისტ ძალთა ჩამოშორებისათვის.

დაე, ყველაფერი ვიღონოთ ამისათვის, ხოლო შემდეგ თვითეული ჩვენთაგანი საქმემან ჩვენმან (და არა მხოლოდ ამბიციურმა პირველობისადმი სწრაფვამ) გამოგვაჩინოს ჩვენ!

## სატირა

# გალმით შენა ხარ, მთავრობავ...

გალმით შენა ხარ, მთავრობავ
გამოლმით ჩვენი ერია.
იცოდეთ ეგ სამსახური
ერისთვის ვერაფერია.
შემდეგ ჩაივლით ქუჩებსა,
იქ მათხოვრები გელიან
ზეიმობს დედაქალაქი
თბილისობაზე მღერიან.
მოგროვილ ნაგვის გორებზე
ძაღლები ერთად ყმუიან,
ძაღლი და კაცი ჩხუბობენ
ნადავლი ვერ გაუყვიათ.
ეს ჩვენი ერი საწყალი
იცით, რა ბედნიერია?
ტილი და მუნი ქალაქში
სუყველა ჩვენ დაგვერია.
რჯული მცირდება ქართველის
იალოველი მრავლდება,
ნეტავ რას ფიქრობს ილია,
ვის წავუყენოთ ბრალდება.
კომუნიზმისა ბუნებამ
არ გაამართლა, დავშალეთ.
ტყუილმა ვერ დაგვაბნია,
დემოკრატია გავშალეთ.
მოგროვდნენ ძველი ბიჭები, სკამებს გაუდის ჭრიალი,
გაცხრილეს ერის შვილები
ცოდვა და გლოვა ტრიალებს.
შიმშილს, სიცივეს, სიბნელეს,
ამასა ჰქვია „ჯორჯია"...
ასეთ სიცოცხლეს, გეთაყვა
ალბათ სიკვდილი სჯობია.
ქართველის მიწა სხვას უნდა
დაგვიდგეს დიდი გალია
უმუშევრობა, ლოთობა, მკვლელობა, ნარკომანია
დემოკრატებო, გვიშველეთ, გვითხარით ვისი ბრალია!
რა მწარე ისტორია გვაქვს
რამდენი რამე გადაგვხდა,
რამდენ თაობას ეყოფა
ჩვენი ვალების გადახდა.
ერი მცირდება ქართველის,
ფიქრებში ვიყავ გართული.
ამდენი უცხო სიტყვებით
დანაგვიანდა ქართული.
ამდენი უბედურებით
ჩვენი ქვეყანა დაიქცა,
გამწარებული ქართველი
მილიონამდე გაიქცა.
არავინ ჩვენ არ დაგვინდო,
ქაოსი ნულარ ატყდება
ერი ტიკია, იცოდეთ
გაიბერება, გასკდება
ვაი პოეტებს ზეიმი
ვაი დეპუტატს დიდება,
ჩვენსა დაგლეჯილ მამულსა
მართლაც პატრონი სჭირდება
მზრუნველი პრეზიდენტი გვყავს,
ჩაგვაცვა გამონაცვალი,
სხვა რჯულის მამა გამხდარა,
ჩვენთვის კი მამინაცვალი.
ახალი თაობაც მოდის
წინ უძლვის პარტოკრატია,
კომუნიზმსა ჰგავს ძალიან
ეს ჩვენი დემოკრატია.

**ნაცაიძე**

# ჰოლივუდის საიდუმლოებანი

## ედმონ ლეონარდო ჰოლივუდში



*ედმონ ლეონარდო არის საყვარელი მწერალი ქვენტინ ტარანტინოსი.*

*ლეონარდომ თავისი კარიერა დაიწყო სარეკლამო საქმეში და ერთი წლის განმავლობაში შეძლო დაეწერა რომანები, მოთხრობები, რომლებიც საფუძვლად დაედო შემდგომში კინო ფილმებს „დაიჭირე ჯუჯა“, „ჯეკი ბრაუნი“, „რომის ქაფი“ და სხვები.*

— **თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ თქვენს ხელოვნებას ხელი შეუწყო ქვენტინ ტარანტინომ?**

— ის, რა თქმა უნდა, ძალიან დამეხმარა — ამბობს ლეონარდო — მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ მეგობრები, ერთხელ გადაღების მოედანზე როდესაც ილებდნენ კინოსურათს „ჯეკი ბრაუნი“, ჩვენ ორჯერ ვილაპარაკეთ და მე მივხვდი, რომ მან ძალიან კარგად იცოდა ჩემი წიგნები. ის ქმნიდა იქიდან იდეებს, ისეთს, რომელზეც მე ვერ ვიფიქრებდი. მას უნდა დაწეროს სცენარი ჩემი რომანის მიხედვით „მომაკვდინებელი გასროლა“. ტარანტინოს სურს ფილმი გადაიღოს კინორეჟისორმა ტონი სკოტმა და მთავარი როლი კი შეასრულოს დე-ნირომ. ასეთია მისი გეგმები.

— **უკანასკნელ პერიოდში ჰოლივუდში თქვენ ბევრს გიხდიან?**

— დიახ, ფილმისათვის „თვალთახედვის მიღმა“ გადამიხადეს 2 მილიონ ნახევარი დოლარი.

— **წიგნიც ასევე სექსუალურია, როგორც ფილმი?**

— არა.

— **მაშ რატომ გამოდის ფილმი სექსუალური?**

— თქვენ მოათავსეთ კადრში ჯენიფერ ლოპესი, და სურათი მაშინვე გახდება სექსუალური.

— **ამბობენ, თქვენ რაღაც დაწერეთ მაქვენისათვის 30 წლის წინ.**

— იყო პროექტი, რომელსაც ეწოდებოდა „ამერიკის დროშა“. მე დავწერე 20 გვერდი ლიბრეტო, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

— **იმ პერიოდში თქვენ წერდით სხვა „მაგარი ბიჭებისათვის“ — კლინ ისტვუდი მაგალითად, თამაშობდა „ჯოუკიდში“ თქვენი სცენარით, „მისტერ მაჯესტიკი“, რომელშიც აგრეთვე თამაშობდა ჩარლზ ბრონსონი, სცენარი იწერებოდა ისტვუდისათვის.**

— დიახ. ისტვუდმა მთხოვა დამეწერა რამე „ჭუჭყიანი გორებისთვის“, ოღონდ სხვანაირად. მოვიფიქრე და გადავამუშავე დეტალებში. დავწერე 23 გვერდი ლიბრეტო, მაგრამ იმ პერიოდში ისტვუდმა დაიწყო უკვე მუშაობა სურათზე „უსახლკარონი ჩამოსული გორიდან“ და სხვა პროექტები უკვე აღარ აინტერესებდა. მათ გადაიღეს ფილმში ბრონსონი. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ორიგინალური სცენარი — წიგნი კი შემდეგში დავწერე.

— **თქვენ მეუღლესთან ერთად თუ დადიხართ კინოში?**

— ჩვენ შეგვიძლია ვუყუროთ სამ სურათს ერთდროულად „ტიტანიკს“, „ლამე ბუგის სტილში“, „უკანასკნელი მოჰიკანი“. ეს უკანასკნელი სურათი არის ჩემთვის საუკეთესო მელოდრამა. საერთოდ მიყვარს ფილმები. და თუ ვერ ვნახავ კინოთეატრში შემიძლია ვუყურო ვიდეოზე.

— **თქვენ რას ფიქრობთ დღევანდელ კინოზე, შეადარეთ წინანდელს.**

— დღევანდელი კინო გაცილებით კარგია. როგორც წესი, ილებენ გასართობ ფილმებს, თუმცაღა უნდა ავღნიშნო, რომ ფანტასტიკა მაინც და მაინც არ მიტაცებს.

— **თქვენ სცენარების წერა 1970 წელს დაიწყეთ?**

— როდესაც მე პირველად დავწერე, ჰოლივუდში მკითხეს რამდენი „ბაქსი“ გინდათ, რომ გადაგიხადოთო კვირაში. როდესაც მე შემომთავაზეს 2500 დოლარი, გავოცდი, წარმოდგენაც არა მქონდა იმაზე, რომ მწერალს შეიძლება დაუნიშნონ დროებითი ხელფასი.

— **რატომ გამოვიდა ფილმი „დაიჭირე ჯუჯა“ კარგი და სხვა ფილმები არა?**

— ჩემი წიგნების ეკრანიზება ძალიან რთულია, იმიტომ, რომ მათ არ შეიძლება მოეპყრათ სერიოზულად, მაგრამ არც არასერიოზულად, სურათში ყველაფერი ხდებოდა კომიკურად, ხოლო მსახიობები თავიანთ გმირებს სერიოზულად ათამაშებენ.

— **თქვენ შეგიძლიათ მოგვიყვანოთ მაგალითი, რათა უფრო გასაგები გახდეს?**

— მაგალითად...

მე სხვა მაგალითს მოვიყვან: ბრუს უილისმა გამომიგზავნა სცენარი ჩემი წიგნიდან „ქურდები“: ამ სცენარში ერთი გმირი ეუბნება მეორეს „იცი, რომ ამერიკაში ქალი ძალადობისკენ უბიძგებს ყოველ 16 წამში“ სცენარში გმირი ილიმება. მე ავუხსენი უილისს, რომ ეს ყმაწვილი კი არ „ხოხმაობს“, არამედ უბრალოდ, ასეთი მენტალიტეტი აქვს.

— **მართალია, რომ ამ ფილმის ყველა მსახიობმა თანხმობა განაცხადა სურათში „იყავი მოხერხებული“ თამაშზე.**

— ეს კი მართალია, მაგრამ ჩვენ გავუგზავნეთ ჯონ ტრავოლტას წასაკითხად რომანი, რომელიც 115 ფურცელს შეადგენს, მას არ წაუკითხავს, თუმცაღა მთავარი როლის შესრულებაზე დაგვთანხმდა. ჩვენც ამის იმედი გვაქვს (იცინის ედმონი).

— **თქვენი წიგნი „თავისუფლება კუბას“ უკვე აპირებს ეკრანიზებას?**

— სცენარი შესანიშნავია, ისინი ჯერ კიდევ არაფერს ამბობენ გადაღებებზე — იმიტომ, რომ ასეთი არაფერი გაუკეთებიათ ჯერ-ჯერობით. „ვიცხოვრებთ და ვნახავთ“.

## მიშელ პფაიფერი

**(ცოტა რამ მის ცხოვრებასა და კარიერაზე)**

მიშელ პფაიფერი დაიბადა 1958 წლის 29 აპრილს კალიფორნიაში ქალაქ სანტანაში, იზრდებოდა კონსერვატიულ ოჯახში.

მამა, დიკ პფაიფერი, საქმლის ფულს იმით შოულობდა, რომ ელექტრორადიატორებს აყენებდა ოთახებში, ხოლო დედა კი დიასახლისი იყო.

მიშელს პატარა ხულიგანს უწოდებდნენ. უფროს კლასებში მან დაიწყო გაკვეთილების გაცდენა. საათობით დადიოდა პლაჟზე და ეწეოდა.

მუშაობა მსახიობმა 10 წლისამ დაიწყო. მამასთან რეცხავდა გაფუჭებულ მაცივრებს, რომელშიც ანაზღაურება 50 ცენტი ჰქონდა, უკვე 14 წლის კი მუშაობდა მაღაზიაში გამყიდველად.

ერთ-ერთ სილამაზის კონკურსზე მიშელ პფაიფერმა გაიმარჯვა, რამაც ბიძგი მისცა სარეკლამო როლიკებში მიეღო მონაწილეობა. ჰონორარით ილებდა გაკვეთილებს მეტყველებასა და მსახიობის ხელოვნებაში.

1982 წელს პფაიფერს მისცეს დიდი როლი ფილმში „ბრიოლინ-2“. მართალია, სურთმა კრახი განიცადა, მაგრამ მიშელის თამაშმა პროდიუსერთა ყურადღება მიიქცია და მომდევნო წელს მან შეასრულა ალ პაჩინოს მეუღლის როლი სურათში „სახე შრამით“. სწორედ ამ ფილმმა მისცა ყველაზე დიდი ბიძგი აღმავლობისკენ, ხოლო ფილმმა „ისტვუდელი ალქაჯები“ კი ვარსკვლავად გახადა. კინო კრიტიკოსმა პოლინ კრეიტმა თქვა — „მიშელი არის ნაზი, გამჭვირვალე და მაგნიტური“.

გოგონა „სუპერმარკეტიდან“ სამჯერ იყო „ოსკარის“ ნომინანტა შორის. მას პარტნიორობა უხდებოდა ისეთ ტიტანებთან, როგორებიც არიან: რობერტ რედფორდი, ჯეკ ნიკოლსონი, ჯონ მალკოვიჩი, მიშელმა შეძლო არ დაკარგულიყო მათ ფონზე.

80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში მიშელ პფაიფერის გმირები ძირითადად უიღბლონი იყვნენ. ვილაც თვლიდა, რომ მისი ბიუსტი სტალონეს ბიუსტს წააგავდა და თანაფარდი იყო. იგი იტანჯებოდა ქმრების უყურადღებობითა და ღალატით.

უკანასკნელი ფილმი მიშელის მონაწილეობით გამოვიდა 1987 წელს. ეს არის დრამა „ათასი აკრი“, რეჟისორია ჟასკინ მურხაუსი. სურათში ნაჩვენებია ფერმერული ცხოვრების ინტრიგები.

მსახიობს 33 ფილმში აქვს ნათამაშები, დაწყებული 1979 წელს ფილმით „მარტოხელა ადამიანი“ რეჟისორი ჯონ ალევენილი და დამთავრებული სურათით „სიზმარი ზაფხულის ღამეს“ მაიკლ ჰოფმანის რეჟისორობით 1998 წლამდე.

მიშელის მეუღლე დევიდ კელი



არის ტელესერიალების პროდიუსერი. პირველი ქორწინება მსახიობისა პიტერ ხარტონთან განქორწინებით დამთავრდა, მას შემდეგ ბევრთან ჰქონდა ხანმოკლე ურთიერთობა. მათ შორის არიან: მაიკლ კიტონი, ჯონ მალკოვიჩი, ველ კილმერი.

1993 წლის მარტში მიშელმა შვილად აიყვანა მულატი კლაუდია როზა და როდესაც ბავშვს შეუსრულდა ერთი წელი, მიშელი და დევიდ კელიც იმ დღეს დაქორწინდნენ და ბავშვმაც მიიღო კელის გვარი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სწორედ ამავე დღეს დაორსულდა მიშელი და 1994 წ. შეეძინა ბიჭი, ჯონ გენრი. ასე, რომ მსახიობი ერთდროულად გახდა მეუღლეც და ორი შვილის დედაც.

## ტრავოლტა

... მთელი ზაფხულის განმავლობაში ჯონ ტრავოლტამ 20 კგ. მოიმატა, ხოლო 7 სექტემბერს კი უკვე სამუშაო დღე აქვს. როგორც ქალები დღესასწაულებისათვის ხდებიან, რათა ჩაეტიონ მათთვის საყვარელ კაბაში, ასევე ტრავოლტამ ზედმეტი წონა უნდა მოიკლოს, რათა ტანსაცმელს დაუბრუნოს თავისი სილამაზე. ამ პრობლემას თუ არ გადალახავს, თვალჳით ვერ იხილავს როლს ფილმისათვისო, განაცხადა რეჟისორმა მარტინ სკორცეზემ.

ამ დაცინვის შემდეგ 150 კგ-იანმა ტრავოლტამ მხიარულად გადაიხარხარა და დაიწყო მკაცრი დიეტის დაცვა და ტრენაჟორებზე ვარჯიში, რათა გადაღებების დროს გახდეს ისეთი, როგორიც იყო ფრენკ სინატრა 50-60-იან წლებში.



## ტომ ქრუზი და ნიკოლ ქიდმანი განშორების ზღვარზე

ჰოლივუდში ხელიდან ხელში გადადის კასეტა, რომელშიც ისმის ნიკოლ ქიდმანისა და ტომ კრუზის სასტიკი და აღგზნებული ჩხუბის ხმა. ეს ხმა ჩაიწერა რადიომიმღებმამ, როდესაც ცოლ-ქმარი ერთმანეთს მობილური ტელეფონიდან ელაპარაკებოდნენ. ქიდმანი მას „კარატიშკას“ უწოდებდა და ადანაშაულებდა, რომ ნაკლებ ყურადღებას იჩენს მეუღლის მიმართ და როგორც ყოველთვის აღარ ჩუქნის ყვავილების თაიგულს. ეს ფირი იყიდება ყველა



გაზეთების ჯიხურში, მაგრამ ამ კამათის მიუხედავად მათი ხმების მიღმა მაინც იგრძნობა სითბო და სიყვარული. კრუზების ოჯახის ადვოკატი აცხადებს, რომ ეს ფირი ყალბად არის შეთითხნილი. ხმები მართალია მათია, მაგრამ ამოკრეფილია სხვადასხვა კინოფილმიდან. თვით ქიდმანი და კრუზი უკვე მეშვიდე წელია ცხოვრობენ ტკბილად და ბედნიერად. როგორც თვითონ აცხადებენ მთელი ეს პერიოდი თითქოს მხოლოდ თაფლობის თვეაო.



## ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომის ფედერაციის ჯგუფის წევრთა მიმართვა ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილს

ბატონო გიორგი! სამი წელია, რაც ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კრების წინაშე თქვენ სიტყვით არ გამოსულხართ. განვლილი ერთი წლის მანძილზე, თქვენი სურვილის საწინააღმდეგოდ, ორჯერ გავმართეთ საერთო კრება, რომლებზედაც დასწრება არ მოისურვეთ: ჩვენ თქვენდამი გვაქვს მთელი რიგი შეკითხვებისა, რომლებსაც საჯაროდ, პრესის საშუალებით, დაგისვამთ:

1) ორი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც თქვენ უკანასკნელად (მეორედ) აგირჩიეს ჩვენი ინსტიტუტის დირექტორად. ჩანაფიქრიდან რა გააკეთეთ და რა ვერა ამ ხნის განმავლობაში?

2) 1987 წელს თქვენ გააუქმეთ აკად. ნიკო ბერძენიშვილის მიერ 1961 წელს ინსტიტუტში დაარსებული განყოფილება, რომელიც ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ისტორიოგრაფიის ისტორიას შეისწავლიდა. რა გახლდათ ამ ქმედების თქვენეული მოტივი? წელს თქვენი ინიციატივით აღნიშნული განყოფილება კვლავ აღდგენილ იქნა. რა მოხდა? როგორ გავიგოთ განყოფილების თერთმეტწლიანი წყვეტილობა?

3) თქვენი გადაწყვეტილებით ინსტიტუტის შვიდი წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი გახდა. რაა ამ უკანასკნელი სამეცნიერო სტატუსის კრიტერიუმები?

4) 1995 წლის 15 ივნისს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე თქვენ აღნიშნავდით ისტორიის თეორიის დიდ მნიშვნელობას. სამწუხაროდ, მაშინ მხოლოდ ხუთწუთიანი გამოსვლის შესაძლებლობა მოგეცათ. დიდი სიამოვნებით მოვისმენდით თქვენს ვრცელ მოხსენებას აღნიშნული საკითხის თაობაზე საინსტიტუტო სემინარზე. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი გურამ ყორანაშვილი თქვენ ხშირად გსაყვედურობთ ხოლმე ისტორიის თეორიის, მეთოდოლოგიის უგულებელყოფას. რა განსხვავებაა ამ თვალსაზრისით თქვენს შორის?

5) თქვენ ხელმძღვანელობთ აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ კომისიას, რომელსაც ევალება კოორდინაცია გაუწიოს საისტორიო გამოკვლევებს საქართველოში. ხომ ვერ მოგვახსენებდით, თუ რა გავაკეთეთ ამ მიმართულებით?

6) ჩვენი აზრით, ინსტიტუტის სტრუქტურებში 18 განყოფილების არსებობა აშკარად ზედმეტია. რას გვეტყოდით ამის შესახებ.

7) რა პირობებში, როგორ თემებზე მუშაობისას ქმნით საპრობლემო ჯგუფს შესაბამისი ხელმძღვანელით?

8) როგორია თქვენი საკადრო პოლიტიკა უკანასკნელი წლების მანძილზე?

9) როგორი გჯხლავთ ურარტოლოგიის პერსპექტივები საქართველოში?

10) როგორ გესახებათ საქართველოს ძველი ისტორიის შემსწავლელი ახალგაზრდა კადრების პოტენციალი?

11) როგორც ვიცით, მზადდება საქართველოს ისტორიის ნარკვევების რუსული ვარიანტის დანარჩენი ექვსი ტომის გამოცემა. რამდენად მიზანშეწონილია ეს?

12) რამდენადაც ცნობილია, უკვე 2-3 წელია, რაც უმაღლესი სამეცნიერო ტიტულების მქონე პირთაგან შემდგარი კოლექტივი თქვენი მონაწილეობით ამზადებს საქართველოს ისტორიის სამ თუ ოთხტომეულს. გვაინტერესებს, რა მდგომარეობაა ამ მხრივ.

წინასწარ მადლობას მოგახსენებთ პასუხებისათვის.

**ისტორიის და ეთნოგრაფიის შრომის ფედერაციის ჯგუფის წევრები.**

## კომერცია და ბიზნესი ქართული გაგებით

საბჭოთა კავშირის ნგრევამ, ჩაკეტილი ეკონომიკური სივრცის საზღვრების უეცარმა რღვევამ, ქვეყნის საბა-



ზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და საზოგადოების უდიდესი უმრავლესობისათვის უცნობი ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებამ, შიდა ბაზრის დაუცველობამ და ამ კუთხით გამოუცდელი ჩვენი ახლადგამომცხვარი ბიზნესმენებისა თუ კომერსანტების დილეტანტიზმმა, სახელმწიფოს მიერ გატარებულმა არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, ქვეყანა კრახის პირას მიიყვანა, საქართველო მიება იაფფასიან, უხარისხო აღმოსავლურ ბაზარს, რომელსაც წინ უსწრებდა დანაშაულებრივი, ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და დაცარიელებული სახელმწიფო ხაზინა, სამაგიეროდ ზოგიერთმა კომუნისტმა „კომბინატორმა“ და „მეცეხემ“ — ბიზნესმენის ან კომერსანტის სახელი დაირქვა, ზოგი კი კურიოზულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ერთი-ორი „კაპიკი“ იშოვა, „მერსედესში“ ჩაჯდა, ჰალსტუხი ჩამოიკიდა და როდესაც ჯიბეზე ხელი მოისვა, შიგ „გახვრეტილი შაურიანიც“ კი აღარ მოეპოვებოდა, ასე დარჩა საზოგადოების ერთ ნაწილს ფულით სავსე ტომრები, უდიდეს უმრავლესობას კი გახვრეტილი ჯიბე. აი, კომერცია და ბიზნესი ქართული გაგებით.

ქვეყანაში დღეს არსებულ არაკეთილსინდისიერ კონკურენციაზე საკმაოდ ბევრს საუბრობენ, ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გავრცელებულმა ამებიაზის ეპიდემიამაც.

გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩენილმა შესაბამისმა ორგანოებმა პასუხისმგებლობა უმალ მოიხსნეს და ერთადერთ მიზეზად ბაზრობებზე გავრცელებული ანტისანიტარია დაასახელეს. ამ საკითხის დასაზუსტებლად ნაძალადევის რაიონში არსებულ შპს „პატარა ბაზრის“ დირექტორს, ქალბატონ **ელისო გიგაურს** გავესაუბრეთ.

ცნობისათვის იმასაც გეტყვით, რომ ბაზრის ტერიტორიაზე შესვლისთანავე თვალში გეცემათ სისუფთავე, მომხმარებელთა კმაყოფილი სახეები და ათასი სხვა რამ, რომელიც სწორედ ამ ბაზრისთვისაა დამახასიათებელი.

როგორც ქალბატონმა ელისომ განაცხადა, გამართულია სასასწორე მეურნეობა, მოწყობილია სანაგვე ბუნკერები, დაცულია სან-ჰიგიენური ნორმები, მუშაობს ექიმი და ამდენად, ამებიაზის გავრცელების სათავე რომ ბაზარში ვეძებოთ, უბრალოდ, წყლის ნაყვას ჰგავს.

„როდესაც მე ისევ დავბრუნდი ბაზრის დირექტორად, თითქმის ყველაფერი დანგრეული და გაჩანაგებული დამხვდა. შემდგომ კი ჩავატარეთ მიმდინარე რემონტი, აღვადგინეთ წყალგაყვანილობა, ნაგავსაყრელად ქცეულ ბაზარში დავაყენეთ ბუნკერები და ბევრი რამ, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა“ — განაცხადა ქალბატონმა ელისომ და ბოლოს, იმ მიზეზზეც გვესაუბრა, თუ რატომ ვერ ასრულებდა იგი თავის მოვალეობას ერთი წლის განმავლობაში.

„ადგილობრივი მმართველობა და თვით გამგებელი, ხელშეწყობის ნაცვლად, ხელს გვიშლიდა მუშაობაში. მართალია, მე პირადად ნაძალადევის რაიონის გამგებლის მიმართ რაიმე პიროვნული ინტერესები არ მაქვს, მაგრამ თუ მართლა სამართლებრივი სახელმწიფოს შენებას ვაპირებთ, სადაც ქვეყანა კანონებმა უნდა მართონ და არა ცალკეული ხელმძღვანელის ამბიციებმა, ასეთი მიდგომა მხოლოდ დაღუპვისაკენ წაიყვანს ქვეყნას.

ჩემი განთავისუფლება ბაზრის დირექტორის თანამდებობიდან, მხოლოდ და მხოლოდ გამგებლის, მისი გარემოცვის (ვაჭრობის განყოფილების უფროსის ზამბახიძის) ინტერესებში ჯდებოდა, მომხსნა კიდეც, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებით მე ისევ აღმადგინეს. ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმირებული იყო ბატონი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც მაშინ, საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტს ხელმძღვანელობდა. მისი დიდად მადლობელი ვარ, სწორედ მან მიმართა წერილობით შესაბამის ორგანოებს, რათა აღსრულებულიყო სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილება ჩემი აღდგენის შესახებ. ასე რომ, რომ არა ეს წერილი, ადგილობრივი მაფიოზურკლანური ძალები ჩემი აღდგენის დღესაც წინააღმდეგნი იქნებოდნენ. სამართალმა პური ჭამა, მაგრამ დღესაც არ მასვენებენ და ისევ სასამართლოში მიჩივიან. სურთ ხელში ჩაიგდონ ბაზარი და თავიანთი მაფიოზური ინტრიგების განსახორციელებლად გამოიყენონ“.

**ესაუბრა
კობა კაპანაძე**

**P.S.** გამოვემშვიდობეთ ქალბატონ ელისოს და ცოტა არ იყოს, გული დაგვწყდა. ნუთუ შეიძლება, ქართველმა კაცმა თავის ვიწრო ინტერესებს, ამბიციებს შესწიროს კოლექტივის ინტერესები?!

**საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს
პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ზურაბ ჟვანიას
სახელმწიფო მინისტრს, ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძეს
ფინანსთა მინისტრს, ბატონ მიხეილ ჭკუასელს
პარლამენტის ყველა ფრაქციათა თავმჯდომარეებს
ყველა პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელს
ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტს ბატონ გიორგი თევზაძეს
სახალხო დამცველს ბატონ დავით სალარიძეს**

## ღია წერილი

**ყოფილი შემნახველი სალაროების მეანაბრეთა და „ახალი ქართული ბანკის“ მეპაიეთაგან.**

საქართველო შეუერთდა და აღიარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1948 წელს გამოცხადებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“. ეს იმას ნიშნავს, რომ დეკლარაციის პრინციპების პატივისცემა და შესრულება სავალდებულოა. ამ დეკლარაციის მე-17 მუხლში ნათქვამია: „შენ უფლება გაქვს ფლობდე ქონებას, როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად (საზიაროდ) და ვერავინ ჩამოგართმევს მას თვითნებურად: 1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას, როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად. 2. არ შეიძლება ვინმეს თვითნებურად ჩამოერთვას მისი ქონება.“

ზემოთაღნიშნული დებულებების აშკარა დარღვევა არის ის, რაც დღეს ხდება ჩვენი ქონების დანაზოგების მიმართ. მიმდინარეობს ანაბრების ინდექსაცია, რომლის მიხედვითაც მეანაბრე იღებს (როდის, დასადგენია) მის მიერ შემსალაროში შეტანილი თანხის 1/10%, ხოლო დანარჩენი 90/99% იკარგება, ანუ ხდება ანაბრების ძირითადი ნაწილის ჩამორთმევა მეანაბრეთა თანხმობის გარეშე. უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის მეანაბრეები, რომლებიც მიმზიდველი რეკლამების საშუალებით შეცდომაში შეიყვანეს, ანაბრები გადაატანინეს „ახალი ქართული ბანკის“ ანგარიშზე და გახდნენ ამ ბანკის მეპაიეები. მათ „ახალ ქართულ ბანკში“ (უზნაძის ქ. № 37) ეუბნებიან: „თქვენი საპაიო შენატანების საკითხი უნდა გაარკვიოთ იმ სალაროში, რომლის მეანაბრეებიც იყავითო“, ხოლო სალაროში უცხადებენ: „ჩვენ ყოველგვარი დოკუმენტაცია გადავეცით ბანკს და საქმეც იქ უნდა გაირკვესო“. რა არის ეს, თუ არა აშკარა, ნებადართული ყაჩაღობა, ძარცვა-გლეჯა დღისით, მზეისით. საკითხავია, ვინ უმაგრებს ზურგს „შარაგზის ყაჩაღებს?“ ასეთი რამ არ გაუკეთებია „მსოფლიო ჯალათის“, „ტირანისა“ და „ყაჩაღის“ სახელით მონათლულ სტალინსაც კი, რომელმაც 1947 წელს ფულის რეფორმის გატარების დროს მცირე დანაზოგების მქონე მეანაბრეების დაცვის მიზნით 3000 მანეთამდე რაოდენობის ანაბრები გაანაღდა შეფარდებით 1:1, მიუხედავად სალაროში მათი შეტანის თარიღისა.

სახელმწიფო მოხელეები აცხადებენ, რომ ამჟამად სახელმწიფოს უჭირს და არა აქვს საშუალება მოსახლეობას სრულად დაუბრუნოს დანაზოგების მთელი რაოდენობა, თუმცა ჩვენ არავინ გვეკითხება, გვიჭირს თუ გვილხინს.

სახელმწიფოს ხელში მოხვედრილი ჩვენი დანაზოგები ხომ ცოცხალი ფული იყო, რომელიც მუშაობდა და მოგებას იძლეოდა, დაბანდებული იყო მატერიალურ სფეროში. მატერიალურ ღირებულებათა გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია, ამიტომ ინფლაციის მოტივით ამ უკანონობის დაკანონება შეუძლებელია. თუ სახელმწიფოს დღეს არა აქვს გადახდის შესაძლებლობა, მაშინ გაგვისტუმროს ხვალ ან ზეგ, მაგრამ უფრო პატიოსნად, ანაბრების შეტანის მომენტში არსებული ფულადი კურსისა და მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით.

ნათქვამია, „მიბარებული მგელმაც შეინახაო“, ამიტომ ღია წერილის ადრესატებს ვთხოვთ დახმარებას, დაგვიცვან მგლებისაგან. იქნებ გულთან მიიტანოთ ასიათასობით გაძარცულ-მოტყუებული მეანაბრეამომრჩევლების მეტად მტკივნეული საკითხი, რათა აღიძრას სარჩელი კონსტიტუციურ სასამართლოში, ჩატარდეს სოციოლოგიური გამოკვლევა, საერთო-სახალხო პლებისციტი, ან სხვა რაიმე ღონისძიება, რომელიც აღადგენს ჩვენი, როგორც ადამიანის ქონებრივ უფლებებს, რაც გათვალისწინებულია „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“.

გაძარცვული მეანაბრეები და მოტყუებული მეპაიეები:

**შოთა კაპანაძე
შოთა ჭავჭანიძე
ვაჟა უჩანეიშვილი
მერცია სახელაშვილი
შუქურა თვალაბეიშვილი
სულ 777 ხელმოწერა,
ხელმოწერები გრძელდება**

## სამართალი

# დაუსჯელობის სინდრომი

„ელიზი" — „ომეგა"-ს სასამართლო პროცესის თაობაზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების წამკითხველ მოქალაქეებთან საუბრებმა (ზოგს რედაქციაში შევხვდი, ზოგმა ქუჩაშიც გამაჩერა) დამარწმუნეს, რომ უმეტესობას სწორად ესმის საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ქართველ ბიზნესმენთა შორის ურთიერთობის ცივილიზებული ფორმების დამკვიდრებისათვის ჟურნალისტების ზრუნვა, იმ აზრსაც იზიარებენ, რომ „ელიზი"-ს პრეზიდენტმა, ამჟამად ბრალდებულმა თამაზ ელიზბარაშვილმა, კონკურენტი ფირმის „ომეგა"-ს ჩამოშორება ბინძური მეთოდებით სცადა, მაგრამ თავის გათხრილ ორმოში თვითონვე ჩავარდაო...

შემხვდნენ ისეთებიც, რომლებსაც ფარატინა ქაღალდად მიაჩნიათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის (თავმჯდომარე ლენგერ ბოჭორიშვილი) მიერ 1998 წლის 20 აგვისტოს გამოცხადებული განაჩენი და „ელიზელებს" „კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის გამო დაჩაგრულად მიიჩნევენ.

მოკლედ, მოქალაქენი, ძირითადად, იმის მიხედვით მსჯელობდნენ, ვის „რომელი მხარის ჟურნალისტის" პუბლიკაციები ჰქონდა წაკითხული და ვის მიმართ გააჩნდა პირადი სიმპათია-ანტიპათიები, ზოგს კი საერთოდ არ აინტერესებდა ეს საკითხი— „ასეც უქნიათ ერთმანეთი დაუხოციათო" — გულ-ღრძილ აცხადებდნენ თავიანთი დუხჭირი ცხოვრების გამო ყველაზე გულაცრუებულნი.

მოკლედ, ჩემი მიკრო-სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები (დაახლოებით 50 კაცთან მომიწია საუბარმა) ასეთია:

1) ფირმა „ომეგას" ჩამოცილება მართლაც სურდა „ელიზს", მაგრამ „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ"-ო — 29 კაცს ასე მიაჩნია.

2) ფირმა „ელიზი" არაფერ შუაშია, იგი დიდი ბიზნესის ინტერესებს ეწირებაო — შვიდმა კაცმა მიპასუხა.

3) დანარჩენ 14 კაცს კი საერთოდ არ აინტერესებდა არც „ელიზი" და არც „ომეგა" — „ჩემი გაჭირვება მეყოფა და თავში ქვა უხლიათო"...

მესმის, რომ ასეთი მიკრო-სოციოლოგიური „გამოკვლევით" (ბრჭყალები ჩემია — თ. ქ.) მე მხოლოდ იმ ადამიანების აზრი მოგაწოდეთ, რომელთან შეხვედრებმაც „ელიზი" — „ომეგა"-ს სასამართლო პროცესის გაშუქების დროს მომიწია (რასაც ყოველთვის ვინიშნავდი). ისე კი, ფართო სოციოლოგიური გამოკვლევა მართლაც რომ ჩაატაროს ვინმემ, დარწმუნებული ვარ, ჩვენში გაბატონებული სამართლებრივი ნიჰილიზმისა და დაბალი სამართლებრივი კულტურის გამო, უმეტესობა იმას განაცხადებს, რაც მე თოთხმეტმა კაცმა განმიცხადა.

როცა თვით მოქალაქეა დაუცველი, მისი ღირსება შელახული და პატივი დამცირებული, ძნელია მათ ის დააჯერო, რომ ფირმა „ომეგა", — რომელმაც 23 მილიონი სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანა და დღესაც ეხმარება უამრავ გაჭირვებაში ჩავარდნილ თანამემამულეებს, — დაზარალებულია და დაცვა სჭირდება.

არადა, ფაქტია: რომ არა „ელიზელთა მიერ კონკურენტი ფირმა „ომეგა"-ს ჩასაძირად განხორციელებული თავდასხმები, ამ ორ ქართულ ფირმას შეეძლოთ უფრო მეტი წვლილი შეეტანათ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების საქმეში, არც ამდენი კაცი აღმოჩნდებოდა დანაშაულში ჩათრეული და თავ-თავიანთ ოჯახებს არ მოწყდებოდნენ უზენაესი სასამართლოს განაჩენით სასჯელდადებულნი.

აქვე იმასაც დავძენ, რომ როცა ვწერ: „ელიზელთა" ბანდის მეთაურობაში ბრალდებულ თამაზ ელიზბარაშვილსა და სხვათა მიმართ ერთი წლის წინ შეჩერებული ცალკე წარმოებად გამოყოფილი საქმის გამოძიება უნდა განახლდესმეთქი, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მე „ვინმეს სისხლი მწყურია" (ღმერთმა დამიფაროს), უბრალოდ ჩვენს ქვეყანაში პირველად მომხდარი ასეთი მძიმე კატეგორიის დანაშაულის ყველა დეტალი თუ



არ გამოვიკვლიეთ, სათანადო ზომები თუ არ მივიღეთ მის ჩამდენთა მიმართ, ეს ძალიან ცუდი მაგალითი იქნება მათთვის, ვისაც დაუსჯელობის სინდრომი, ვინ იცის, კიდევ რას გააკეთებინებს. მთავარი სასჯელის გარდაუვალობაა და არა თვით სასჯელის ზომა და ქართული ბიზნესის მომავალი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად გავართმევთ თავს ამ სამართლიანი პრინციპის განხორციელებას „ელიზი" — „ომეგა"-ს ჯერაც ნახევრად დამთავრებულ საქმეზე.

**თამაზ ქველაძე**

# ქართული პროდუქცია ფეხს იდგამს

*ხელისუფლების არასწორი ეკონომიური პოლიტიკა გარკვეულწილად დიდ წინააღმდეგობაში აგდებს ჩვენს მრეწველობასა და მრეწველებს. არასწორმა საგადასახადო სისტემამ დააკნინა და გააჩანაგა ეკონომიკა. მრეწველობისათვის საჭირო ნედლეული იბეგრება არა სწორად. ქვეყანაში კი ხდება იმპორტირება მზა პროდუქციისა, რომელიც ეკოლოგიურად უვარგისია. ამავე დროს გაცილებით იაფად, თვითღირებულებასთან შედარებით, რათა საქართველოში ჩაკვდეს მრეწველობა და სხვა ქვეყნებმა დაიპყრონ ჩვენი ბაზარი.*

*ყოველივე ამის შესახებ გავესაუბრეთ პატარძეულის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორს, ბატონ **ოთარ მუჩიაშვილს**...*



**— ბატონო ოთარ, შტრიხები თქვენი პორტრეტისათვის?**

— მე პატარძეულელი კაცი ვარ. დავიბადე 1950 წ. მყავს მეუღლე და სამი ვაჟიშვილი. დავამთავრე ზოოვეტერინალური ინსტიტუტი. ვმუშაობ ჩემი სპეციალობით პატარძეულის მეფრინველეობის ფაბრიკაში 1972 წლის იანვრიდან. ბოლო სამი წელი კი ამავე ფაბრიკის დირექტორი ვარ.

**— საერთოდ, საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ღრმა კვალი დაამჩნია ჩვენს ეკონომიკურ მდგომარეობას. კერძოდ, დაირღვა ძველი ეკონომიკური კავშირები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოშლილია, ჭირს გასაღების ბაზრის შოვნა, ეკონომიკა მთლიანად გაჩანაგდა. თქვენ კი როგორღაც შესძელით მეფრინველეობის ფაბრიკის შენარჩუნება და მისი ნელ-ნელა ფეხზე დაყენება. რას იტყოდით ამის შესახებ?**

— აქაური, პატარძეულელი კაცია ლადო მარხვაშვილი, რომლის დამსახურებაა ეს. სოფელს პატივი სცა, გვერდში ამოუდგა და 45 კაცი დაასაქმა. გავაცოცხლეთ ეს ძველი დარგი. რუსეთიდან კვერცხი შემოვიტანეთ, წიწილები გამოვჩეკეთ, გამოვზარდეთ ქათმები და ალბათ, ამ თვის ბოლოს ჩვენს პროდუქციას, რომელიც ეკოლოგიურად სუფთაა, მიიღებს თბილისის მოსახლეობა.

**— ბატონო ოთარ, გასაღების ბაზარი სად გექნებათ, მხოლოდ საქართველოში თუ სახელმწიფოს გარეთაც გაიტანთ პროდუქციას?**

— ჯერ-ჯერობით გასაღების ბაზარი იქნება ჩვენი სახელმწიფო, კერძოდ კი, თბილისი. შემდეგ, რომ მოვმაგრდებით, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი და ასე შემდეგ. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენს მოსახლეობას მივაწოდოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, რაც მდგომარეობს შემდეგში: კვერცხის შენახვის ვადა 6 დღეა, შემდეგ კი ის უნდა ჩამოფასდეს და რატომ? — 10 დღეში კვერცხი კარგავს სასარგებლო თვისებებს სანახევროდ. 20 დღეში კი მთლიანად. ახლა ვთქვათ, კვერცხი მოდის სხვა ქვეყნიდან, ის უნდა მოქუჩდეს პატარა-პატარა ფერმებში, რათა ცოტ-ცოტას წამოღება კომერციული ხაზით არა რენტაბელურია, ამასობაში გადის 15 დღე მაინც. მერე მოუმატეთ ამას განბაჟება, ტრანსპორტირება, სამაცივრე დანადგარებში შეტანა, რასაც ორი თვე სჭირდება. ასეთი კვერცხი საკვებად უკვე უვარგისია, მითუმეტეს, ბავშვებისათვის, თუ არ ვიტყვით იმას, რა პირობებში ხდება მათი რეალიზაცია და ტანსპორტირება.

კვერცხი ცოცხალი არსებაა, აქვს ფორები, რითაც ის სუნთქავს და ეს ფორები თუ ამოივსო ჭუჭყით, კვერცხი უვარგისი ხდება. ჩვენი პროდუქცია კი მეორე დღესვე მიეწოდება მოსახლეობას. იგი ახალი იქნება და საკვებად მეტად სასარგებლო.

**— გაუწევს თუ არა თქვენი ფერმის კვერცხი უცხო ქვეყნიდან შემოტანილ კვერცხს კონკურენციას ფასების მიხედვით. თქვენ მოგეხსენებათ, რომ უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქცია უფრო იაფია, ვიდრე ადგილობრივი. თქვენი აზრით, ხომ არა აქვს რაიმე დარღვევებს ადგილი?**

— რა თქმა უნდა, ადგილზე წარმოებული პროდუქცია უფრო იაფი უნდა ჯდებოდეს შემოტანილთან შედარებით. ეს ლოგიკურია. საბაჟო და ტრანსპორტის ხარჯებმა პროდუქციის თვითღირებულება მკვეთრად უნდა გაზარდოს, მაგრამ ალბათ ახერხებენ ზოგიერთნი კანონიერი გზის გვერდის ავლას, რითაც ბიუჯეტი ზარალდება.

**— ბატონო ოთარ, მე მახსოვს, ადრე თქვენი მეფრინველეობის ფაბრიკიდან მარაგდებოდა თბილისი და რუსთავი. იყო სპეციალურად გახსნილი ფრინველის მაღაზიები, სადაც იყიდებოდა კვერცხი და დაკლული ქათამი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა მოსახლეობაში. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ქათმის ხორცით დედაქალაქის მოსახლეობის მომარაგებას და კონკურენციის გაწევას იმ ფირმებთან, რომელთაც ე. წ. ქათმის ბარკლები შემოაქვთ?**



— ჯერ-ჯერობით ჩვენ აქცენტი კვერცხის წარმოებაზე გვაქვს აღებული, ხორცის წარმოება ცოტათი რთულია, რადგან მას სამაცივრე დანადგარები, შეფუთვები სჭირდება, რაც გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება შემოტანილ ბარკლებს, ეგ ხომ საწამლავია. საერთოდ, ქათამს ორი კიდური აქვს, ზედა და ქვედა კიდური. ზედა კიდური ფრთებია, ქვედა კიდურში ილექება კანცეროგენული ნივთიერება, რომელიც შხამია და ამ კიდურებს ჩვენთან აგზავნიან, რაც კარგია და სასარგებლოა, თვითონ იტოვებენ. ქათმის ზრდას, დასრულებამდის რომ მიაღწიოს, უნდა 5-6 თვე, ისინი კი 35 დღეში აღწევენ ზრდის ინტენსივობას მასტიმულირებელი ქიმიური ნივთიერებით, რაც საკვებს ქიმიურს ხდის. მე ის გალურჯებული ქათამი მირჩევნია, ადრე რომ ეძახდნენ, ვიდრე არაბუნებრივად გაზრდილი ქათამი. რაც ბუნებრივი გზით მიღებულია, ის საკვებად სასარგებლოა.

ჩვენ ვცდილობთ გავაფართოოთ ჩვენი წარმოება. მაგალითად, გაისად 60000 ათასი კვერცხის მდებელ დედლამდის გავზრდით, რაც საშუალებას მოგვცემს ყოველდღიურად 40-50 ათასი კვერცხი მივაწოდოთ თბილისის მოსახლეობას. ამით მოგებას ნახავს პირველ რიგში მოსახლეობა, შემდეგ კი სახელმწიფო. ბიუჯეტში შევა გარკვეული თანხები და ასევე, რა თქმა უნდა, ჩვენც მოვიგებთ.

**— მოგეხსენებათ, რომ რაც არ უნდა გამართული იყოს წარმოება, პრობლემები მაინც აწუხებს. თუ შეიძლება გვესაუბრეთ ამის შესახებ.**

— რა თქმა უნდა, პრობლემები ბევრია ელექტრო რესურსებთან დაკავშირებით. წყალი, საკვები, განათება, ვენტილაცია ელექტროობის გარეშე ვერ იქნება. არის ხშირი გათიშვები. ჩვენ კი გვაქვს 10 კვ-იანი სადგური, მაგრამ არ კმარა, გენერატორი ვერ უძლებს. რომ იყოს ამ მხრივ ხელის შეწყობა, ბევრი პრობლემა მოიხსნებოდა. მეორე პრობლემა არის მედიკამენტები, რომელსაც ჩვენ თბილისში, ვეტერინალურ აფთიაქში ვყიდულობთ და საკმაოდ ძვირი გვიჯდება. მცენარეული საკვების გარდა, ქათამს ცხოველური ცილაც სჭირდება. ადრე რუსეთიდან შემოგვქონდა თევზის ფხვნილი, დღეს-დღეობით ველარ შემოგვაქვს. საქართველოში კი ცხოველური ცილების წარმოება არ არის. ჩვენ ვეძებთ გზებს სიძნელეების დასაძლევად, შემოტანა ძვირი გვიჯდება და ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქციის თვითღირებულებას ზრდის.

**— დღეს საქართველოში დომინირებს აზრი, რომ თუ რაიმე პროდუქცია ქართულია, ის აუცილებლად ცუდია, თუ უცხოურია, ის კარგია. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?**

— ჩვენ, როგორც გლეხი, იმ პირობებში ვზრდით ქათმებს და რატომ უნდა იყოს ცუდი პროდუქცია, ამიტომ არჩევანი მომხმარებელზეა. რომელი ურჩევნია, ხარისხიანი, ბუნებრივი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი თუ ზრდის ინტენსივობის მასტიმულირებელი ქიმიური ნივთიერებით მიღებული პროდუქცია. ხორცის ფასი შეიძლება უმნიშვნელოდ გაიზარდოს, რადგან ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ქერს, ხორბალს, სიმინდს, ცხოველურ ცილოვან დანამატებს, ვეტერინალურ წამლებს ვყიდულობთ, რაც თავისთავად პროდუქციის თვითღირებულებაზე მოქმედებს. რაც შეეხება კვერცხს, მისი ფასი არ აიწევს.

**— სპეციალისტების მხრივ რა მდგომარეობა გაქვთ?**

— კადრები დაკომპლექტებულია სპეციალისტებით, რომელთაც 20-35 წლის მუშაობის სტაჟი აქვთ ამ სისტემაში, აქვთ უდიდესი ცოდნა და გამოცდილება.

**— და ბოლოს, ბატონო ოთარ, რას ურჩევდით და უსურვებდით საქართველოს მოსახლეობას?**

— პირველ რიგში, მშვიდობას, ჯანმრთელობას, ცხოვრებაში წარმატებას და რაც მთავარია, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს.

ესაუბრა
**თემურ კოზოლაშვილი**



ვულოცავთ ჩვენს მეგობარს და კოლეგას, მომხიბვლელ ქალბატონს და კეთილ მრჩეველს, ქეთი ჩადუნელს, დაბადების დღეს.

ქეთი! გისურვებთ უღევ სიხარულს, ქალურ ბედნიერებას, შვილების ბედნიერ მომავალს.

შენი მეგობრები „საქართველოდან“

## განიკურნეთ ბუნებრივი საშუალებებით

ხალხური მედიცინის საშუალებით ვმკურნალობ შემდეგ დაავადებებს: ფსორიაზს, დიაბეტს, სამწვერა ნერვის ანთებას, კუჭის წყლულს, ამერონიას, შიდა ქალის წნევას, ჰიპერტონიას, სკლეროზს, თირკმელების რევმატიზმს, ასთმას, ცისტიტს, ეგზემას, პროსტატიტს, სოკოვან დაავადებებს, ტუბერკულოზს, თმის ცვენას, სმენის დაქვეითებას, პლევრიტს, სიყვითლეს, კლიმაქსს, ნევროზს, ეპილეფსიას, თავის ტკივილებს, გაიმორიტს, უშვილობას, ჩიყვს, ბუასილს და სხვა. მკურნალობა ხდება მხოლოდ ბალახებით, ეფექტი გარანტირებულია.

დაგვიკავშირდით ტელეფონით: 66-65-12 ნანა 52-16-67 ნინო.



### გიორგი სუპატაშვილი

წელიწადზე მეტი მიიწურა იმ ავადმოსაგონარი დღიდან, რაც ჩვენგან წახვედი, შვილო. გაუგებარი იყო ჩვენთვის და დღესაც გაოგნებულები ვართ შენი ამ მოულოდნელი, უეცარი სიკვდილით. დღესაც დავდივართ მე და დედაშენი და დავეძებთ სიმართლეს, გვინდა გავიგოთ, ვინ ან რამ მოგისწრაფა სიცოცხლე, ჩვენო ერთადერთო და მერცხალივით მარდო, ჩვენო ნუგეშო, შენი უდროო და უცაბედი განშორებით მეხისდამცემო შვილო.

მძიმეა ჩვენთვის, შენი მშობლებისათვის, შენი დაიკო მაკოსთვის ეს წუთისოფელი. წამდაუწუმ შენს სურათებს შევცქერით, შენს საფლავზე ვათენებთ და რკინის ჯოხით ხელში დავდივართ ყველგან, რომ შენი სიკვდილის საიდუმლო ამოვხსნათ. ვაგლახ, რომ ძნელია სიმართლის პოვნა, მაგრამ გეფიცებით, შვილო, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, სიმართლეს ვიპოვით და ჩვენს დამღუპველს საკადრისს მივუზღავთ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უმანკო სული.

***შენი მშობლები და დაიკო***

## მეგობრული შარჟი ბორჯომელებს



სუფრა იყო მეფური,
თამადობდა თემური.
დატრიალდა ყანწები,
აგვიწითლდა ლაწვები.
ფართა შლიდა ხელებს —
წავაგეო ნიძლავი.
პურმარილი ჩემზე არის,
თამადობა — ბიჭიკოს.
საქართველო დავლოცოთ და
ყანწი ყანწებს ვაჯახოთ.
აბა, კარგი ბიჭია და
აქაც ვინმემ გვაჯობოს.
დაგვათენდა, ლიპი გვიგავს,
მელვინეთა ძველ ტიკებს,
ველარც ყანწსა ვიჭერთ ხელში,
ველარც ტკბილად ვტიტინებთ.
აირია მონასტერი,
კაცი კაცსა ვერა სცნობს,
საფერავი რა ყოფილა,
კინალამ რომ დაგვავსო.
მივეყარეთ ლობე-ყორეს,
თავი არ გვაქვს განძრევის,
თუ თათარო მოგვეპარა,
ხომ აგვჩეხა ხანჯლებით.
დროა, ყანწი გვერდზე დავდოთ,
საქმეს უნდა მიხედვა.
ვინც ჩვენს სუფრას შეურაცხყოფს
არ აცდება მიბეგვა.

***თბილისელი მეგობრებისაგან***

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. მსხვილკალიბრიანი ცეცხლსასროლი შეიარაღება 8. სიტყვათა წარმოთქმის მანერა 9. კვერცხისმდებელი შინაური ფრინველი 11. ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე 14. ეპილეფსია 15. ჩოქელა მოსასმელი მოკლენიჩბიანი ნავი 18. სამეცნიერო ნაშრომის დასკვნა 19. ამერიკული დიდი გრძელკუდა ხვლიკი 20. დიდი აურზაური და ყაყანი 21. სუბტროპიკული ხილი 22. ერთი დარგის საწარმოთა გაერთიანება 24. მჟავე სურნელოვანი ციტრუსი 26. პურის ნაჭრების შესაწვავი მოწყობილობა 27. ძველებური ინგლისური ოქროს ფული 28. ბანკის უწყისი ფულის გაგზავნის შეტყობინებით 29. ზედმეტი ტვირთი გემზე 33. ბედისწერით დადგენილი რამ 34. მეტყველების უნარის დაკარგვა 35. სასულიერო სასწავლებელი.

**შვეულად:** 2. რადიოგადამცემი 3. ბიბლიური მოციქულის სახელი 4. წითელი მცენარეული სალებავი 5. ებრაელთა ბიბლიური სამშობლო, რომის პროვინცია 6. ორქმრიანობა 7. სასქესო ჰორმონების გამოყოფის შეწყვეტის პერიოდი 10. ახალი პრეზიდენტის უფლებამოსილების დაწყების ცერემონიალი 12. ძველი მონეტების შემსწავლელი სამეცნიერო დისციპლინა 13. მწვანე მცენარეების მიერ სინათლის შთანთქმის პროცესი 16. გადასახური ნაკეთობა გამომწვარი თიხისაგან 17. მეფის ხელისუფლების ატრიბუტი 23. კახური მუქ წითელი მაღალხარისხოვანი ღვინო 25. მადერის ტიპის იტალიური წარმომავლობის ღვინო 29. სოფელი, სადაც აღესრულა და დაიკრძალა წმინდა ნინო 30. რბილშიგთავსიანი დალიანდაგებული საგები ლოგინისა 31. ერთგვარი ძველებური თოფი 32. მაღალხარისხოვანი მერქნის მქონე ფოთლოვანი ხე.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. მაფია 4. მერხი 6. მანტო 9. სარკე 10. ხისტი 11. ბორდო 12. აბაკა 15. მუსიკ 18. ნალია 21. ნარინჯი 22. სორგო 23. სინაი 24. ტრამალი 26. აბაზი 29. აჯიკა 32. კალია 35. ნანდუ 36. სარფი 37. რენტა 38. ირისი 39. კვირა 40. არილი.

შვეულად: 1. მისია 2. ფერია 3. ამება 4. მეხრე 5. რისკი 7. ნარმა 8. ობოლი 13. ბერდანა 14. კანჯარი 15. მასრა 16. სირმა 17. ენოტი 18. ნისია 19. ლანდი 20. ამირა 27. ბანკი 28. ზონდი 30. ჯირკი 31. კრიჭა 32. კურია 33. ლანჩი 34. ასაკი.

### ნინო დოლიძეს!

ძვირფასო ნინიკო, გილოცავთ დაბადების დღეს. გინატრით ბედნიერ აისს, ნათელ მომავალს და ისეთ დაისს, რომელიც სიხარულით აგავსებს, როცა გადახედავ შენს განვლილ ცხოვრებას...

**გაზ. „საქართველოს“ რედაქცია და მეგობრები თსუ-დან.**

## განცხადებები

9 სექტემბერს, ოთხშაბათს, 13 საათზე, საზოგადოება „ცოდნის“ დარბაზში (მერაბ კოსტავას ქ. № 47) პროფ. **გურამ ყორანაშვილი** წაიკითხავს მოხსენებას თემაზე **„ისტორიკოს პეტრე უშაკოვის საიდუმლოება“**.

გთხოვთ მობრძანდეთ.

* * *

ვამზადებ ნებისმიერი ასაკის მსურველებს სიმღერაში. თუ სმენა არა გაქვთ, ნუ იდარდებთ — გამოცდილი პედაგოგი ამ ნაკლს უახლოეს ხანებში აღმოფხვრის. ტელ: 94-00-26.

* * *

ვაცხობთ სადღესასწაულო ნამცხვრებს და ტორტებს ლამაზი გაფორმებით. ტელ: 72-15-28. მივიღებთ შეკვეთებს თქვენი სურვილის გათვალისწინებით.

* * *

მოვუვლი და მოვამზადებ სკოლისათვის 3-დან 6 წლამდე ასაკის რამოდენიმე ბავშვს. მეტრო „რუსთაველთან“ ტელ: 99-72-99.

* * *

იყიდება ოროთახიანი ბინა ქვემო ფონიჭალის 16 სართულიან სახლში მე-12-ე სართულზე, ფასი შეთანხმებით; ტელ. 74-07-15 იკითხეთ ნანა. 70-24-11 იკითხეთ მარიკა.

* * *

ვასწავლი ინგლისურს სხვადასხვა მეთოდით. ვამზადებ აბიტურიენტებს. ფასი 45 ლარი. 94-27-79.

* * *

მოვამზადებ ბავშვებს მათემატიკაში, ფიზიკაში და გერმანულში, ბინაზე მისვლით. თვეში 20 ლარი. ტელ: 98-60-69 ლიკა.

* * *

მოვამზადებ ინგლისურ ენაში ნებისმიერ მსურველს უმაღლეს დონეზე განახლებული პროგრამით. ტელ: 67-31-88 ეთერი.


**ავსტრალია-რუსეთის ტურისტული კორპორაცია „ჰანიმექსის“ თბილისის სააგენტო გიწვევთ ტურისტულ და ბიზნეს ტურებში ავსტრალიისა და ოკეანიის ქვეყნებში. ტელ.: 98-53-95**

დეზერტირების ბაზრის პირველ სართულზე იყიდება პურ-ფუნთუშეულის საცხობი, 45 კვ. მ. თავისი ლიცენზიით, ყველა საჭირო დანადგარით (მათ შორის სპეციალური გაზის ღუმელით). დაგვიკავშირდით ტელ. 93-20-36 ან პეიჯერზე (900) 70-60. ფასი შეთანხმებით.



მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

გაზეთის დირექტორი: ელგუჯა ჩხაიძე

რედაქცია: გია თვალავაძე (რედაქტორის მოადგილე), ზაზა ალადაშვილი (კომერციული დირექტორი), კობა კაპანაძე (სამართლისა და რეგ. პოლიტიკის განყ. გამგე), თემურ კოზოლაშვილი (რეალიზაციის განყოფილების გამგე), კორესპონდენტები: კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩადუნელი, ქეთი გეჯაძე, ხათუნა ხატიაშვილი, ნათია ჭანტურია, მანანა ლობჟანიძე, ნანა ძველაია.

კორექტორები: ამალია გოგრიაშვილი, ამრიტა ჯანაშია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ